საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო
გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 112 (132)
პარასკევი, 7 ივნისი, 1991 წელი.
ფასი 10 კაპიკი

დამყარდება კეთილმეზობლური ურთიერთობა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ, რომელიც მან მისცა თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ცენტრალური გაზეთის „თურქიას“ რედაქტორს ევროპის დეპარტამენტის ხაზით ბატონ ბილალ ქოჩაკს და ეკონომიკურ მიმომხილველს ბატონ ენგინ სენოლს ამა წლის 30 მაისს.

—ბატონო პრეზიდენტო, გაზეთ „თურქიას“ რედაქციის ყველა წევრის სახელით მაქვს პატივი მოგესალმოთ და მოგილოცოთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. ასეთი უზარმაზარი უპირატესობით გამარჯვება არჩევნებში შესანიშნავია. თქვენ ჭეშმარიტად სახალხო გმირი ბრძანდებით, ბევრი წამება და გაჭირვება გადაიტანეთ, არ შეშინდით საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, დიდი გზა გამოიარეთ და ღირსეულ ადგილას მოხვედით. ჩვენ ეს გვსმენია თურქეთში და ახლა თვალნათლივ დავრწმუნდით. გმადლობთ, რომ მოიცალეთ და დაგვთანხმდით ინტერვიუზე. ვეცდებით დიდად არ მოგაბეზროთ თავი. გვინდა ჩვენი საუბარი ერთგვარად ნაწილებად დავყოთ; იგი შეეხება მსოფლიოს პოლიტიკურ სიტუაციას, საბჭოთა კავშირს და საქართველოს დღევანდელ დღეს.

შარშან, პარიზის ცნობილი შეხვედრის შემდეგ, სადაც ან ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობა შეიყარა, საბოლოოდ შეწყდა „ცივი ომი“, კიდევ უფრო გამოიკვეთა პოლიტიკური შერბილების პროცესი. თქვენ როგორ აფასებთ მსოფლიოს დღევანდელ ვითარებას და საბჭოთა კავშირის პოზიციას?

— მართალია, დღეს ვითარება შეიცვალა, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის ძალისხმევით სალმა აზრმა იმარჯვა, საბჭოთა კავშირი უფრო რეალისტური პოლიტიკის გზაზე დააყენეს (მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის დაშლა, გერმანიის გაერთიანება და ა. შ.), მან შეწყვიტა „ცივი ომი“ საზღვარგარეთ, მაგრამ კომუნისტურმა რეჟიმმა „ცივი ომი“ ახლა ქვეყნის შიგნით წამოიწყო იმ რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან. ეს „ცივი ომი“ ნამდვილ ომშიც კი გადაიზრდება ხოლმე კავშირის სხვადასხვა წერტილებში, რაც გამოიხატება საბჭოთა ჯარების თავდასხმებით რესპუბლიკებზე. უშუალო შეიარაღებული ჩარევის ნათელი მაგალითია ბალტიისპირეთის და კავკასიის რეგიონალური კონფლიქტები. მოსკოვი პირდაპირ აგრესიას მიმართავს საქართველოს წინააღმდეგ ჩრდილოეთ საქართველოში, ანუ ყოფილ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქში. გრძელდება მუქარა კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. თუ ბრეჟნევის დოქტრინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეიარაღებული ძალით დამორჩილება და მათზე დიქტატი იყო, გორბაჩოვის დოქტრინა შინაკავშირის ქვეყნების ძალით დამორჩილებაა. აი, ასეთია დღეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური კურსი. ცენტრის ძალები ცდილობენ სამხედრო ძალით ჩაახშონ დემოკრატია და დამონებული ერების სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

— როგორ ფიქრობს ბატონი პრეზიდენტი, ნუთუ უკან დაბრუნებას ნიშნავს ეს ყველაფერი?

— დიახ, უკან, ტოტალიტარიზმისკენ დაბრუნება სურთ, რისთვისაც თავგამოდებით იბრძვის ე. წ. საბჭოთა პარლამენტში საკმაოდ მძლავრი ფრაქცია „სოიუზი“. იგი სისხლიანი რეპრესიების მომხრეა დემოკრატიის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

— 70 წლის განმავლობაში კომუნისტური რეჟიმით ცხოვრობდა ქვეყანა. თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი შეგნებული ცხოვრება იბრძოდით ამ რეჟიმის წინააღმდეგ. რა შეგიძლიათ გვითხრათ „კომუნიზმის“ შესახებ, რა არის ეს „კომუნიზმი“? საერთოდ, როგორ აღიქვამთ სიტყვა „კომუნისტს“?

— როგორც ყოველგვარი სიცრუის და სიყალბის სიმბოლოს! რაც შეეხება თვითონ კომუნიზმის თეორიას, ეს არის უდიდესი საფრთხე კაცობრიობისათვის, მისი მომავლისათვის. კომუნიზმი ნიშნავს ყოველგვარი დემოკრატიის, ყოველგვარი ეროვნული თვითგამორკვევის განადგურებას, იგი ანტიკულტურული და ანტიადამიანური, დემონური მოძღვრებაა.

დღეს, კრემლი ინიღბება დემოკრატიული ლოზუნგებით, ვითომცდა „პერესტროიკით“ და „გლასნოსტით“, მაგრამ საქმით კვლავ იგივეს განაგრძობს, რასაც აკეთებდა წინა პერიოდის მთავრობა.

— ბოლო 6 წელია, მთელი მსოფლიოს პრესა გორბაჩოვზე, „პერესტროიკასა“ და „გლასნოსტზე“ ლაპარაკობს და, თქვენი აზრით, ეს მაინც ნიღაბია? და კიდევ, იგივე საბჭოთა პარლამენტში რუსი დემოკრატებიც ამბობენ, რომ კომუნიზმით რუსული შოვინიზმი ინიღბება და ბოგინობს. თქვენც ამას ბრძანებთ?

— სრული ჭეშმარიტებაა. რასაკვირველია ნიღაბია. ვინაიდან მსოფლიოში კომუნისტურ იდეებს, ტოტალიტარიზმს საბოლოოდ გაუტყდა სახელი. ამიტომ მოიგონეს საბჭოთა წყობის ეს ახალი ფორმები „პერესტროიკა“ და „გლასნოსტი“, რაც არაფერ სიკეთეს არ აძლევს დაპყრობილ ერებს. კრემლი ისევ აგრძელებს თავის შოვინისტურ და დამპყრობლურ პოლიტიკას, და ისიც სწორია, რომ რუსული შოვინიზმის ნიღაბია ეს ყოველივე.

დღეს, ჯარები გერმანიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან მოჰყავთ ჩვენთან, ვითომდა, ადგილი არა გვაქვს და რა ვქნათო. აღმოსავლეთი ევროპა დაკარგეს და ეხლა ეს ერები უნდათ შეინარჩუნონ მონებად. აი, გორბაჩოვის დოქტრინის პრაქტიკული განხორციელება.

— გორბაჩოვსა და ელცინს თუ ადარებთ ერთმანეთს? ამბობენ, ელცინი გორბაჩოვის მიმდევარია. ოღონდ გაცილებით რეაქციული?!

—ძალიან ძნელია ამის თქმა, სანამ ელცინი არჩევნებს არ დაამთავრებს, სანამ არ გაიმარჯვებს და არ გამოჰკვეთს თავის პოლიტიკურ კურსს.

გორბაჩოვის პოლიტიკა კი, ეს იგივე ძველი ლენინურ-სტალინური იმპერიალისტური პოლიტიკაა, ოღონდ შელამაზებული ამ ე. წ. „პერესტროიკით“ და „გლასნოსტით“, ვითომცდა უფრო დემოკრატიული სამოკავშირეო ხელშეკრულებით და ა. შ.

— საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უკანასკნელი იმპერიაა, რომელიც უკვე ირღვევა. ექვს რესპუბლიკას, და მათ შორის გამოკვეთილად საქართველოს, სურს თავისი დამოუკიდებლობის აღდგენა. შემდგომი მოვლენები როგორ გესახებათ?

— ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, მსოფლიო როგორ დაეხმარება ამ რესპუბლიკებს, რამდენად ცნობს მათ მისწრაფებათა კანონიერებას, დამოუკიდებლობას.

— მოლდოვეთში მოხდა ამ ექვსი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შეხვედრა. რას გვეტყოდით იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე?

— დიახ, გაიმართა ამ ექვსი რესპუბლიკის ეროვნულ მოძრაობათა წარმომადგენლების შეხვედრა. გადაწყდა, რომ მეტი კონსოლიდაციაა საჭირო, მეტი კოორდინაცია მოქმედებების, მეტი ურთიერთგაგება და დახმარება კოლონიური იმპერიალისტური რეჟიმის აგრესიული პოლიტიკისგან თავდაცვაში.

— ეს ექვსი რესპუბლიკა რაიმე ოფიციალური ხელშეკრულების დადებას ხომ არ აპირებს?

— ჯერ, ამას წინ უნდა უსწრებდეს ექვსი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს შეხვედრა უმაღლეს დონეზე.

— ეს ბლოკი, თქვენი აზრით, კრემლის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნება?

— საბრძოლველად — არა, თავდაცვისათვის — კი, მოსკოვის აგრესიის წინააღმდეგ. კავშირურთიერთობა იქნება კულტურულიც, ეკონომიკურიც. ის კი არა, როცა გავალთ, საბჭოთა კავშირთანაც გვინდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა.

— 7 წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანას სურს ვალუტით (ლაპარაკია მილიარდობით დოლარზე) დაეხმაროს გორბაჩოვს. ნუთუ ასეთ მძიმე მდგომარეობაშია დღეს საბჭოთა ეკონომიკა?

— ძალიან მძიმე ვითარებაა. და ეს იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი არ ანებებს თავს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გაძლიერების ცდებს. კვლავაც უნდა, რომ წამყვანი მილიტარისტული ქვეყანა იყოს. სამხედრო ძალის მეშვეობით ჰქონდეს ჰეგემონია მსოფლიოში. ეს მილიარდებიც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შენარჩუნებისთვის უნდათ, თან ხალხის ეკონომიკური მდგომარეობაც კატასტროფულად რომ არ დაეცეს და შეინარჩუნონ შინაგანი სტაბილიზაცია.

— წითელ არმიას და სუკ-ს იგივე ძალა აქვთ, რაც უწინ?

— არმიას, რასაკვირველია, აქვს, სუკი კი პოლიტიკურ ცხოვრებაში ისე აშკარად და აქტიურად ველარ ერევა, უფრო სწორად, ღიად ველარ ერევა, თუმცა, რა თქმა უნდა, მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს ტოტალიტარიზმის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

— ისევ საქართველოს მინდა დავუბრუნდეთ. შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ თარიღი, როდის განთავისუფლდება რეალურად საქართველო?

— ასეთი თარიღის დასახელება შეუძლებელია, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია ცხრა+ერთი რესპუბლიკის მიერ სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ხელმოწერის თარიღზე, მათ პოზიციაზე ექვსი „ურჩი“ რესპუბლიკის მიმართ.

—ბატონო პრეზიდენტო, როგორი მმართველობითი და ეკონომიკური სისტემა გსურთ დღეს საქართველოში?

— მხოლოდ დემოკრატიული. საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. ის კიდევ დაიხვეწება. საქართველოს ჰყავს მრავალპარტიული პარლამენტი, რომელიც აქტიურ როლს ასრულებს. მასში 10 პარტიის წარმომადგენლები არიან გაერთიანებული.

— კომუნისტური პარტიისაც?

— დიახ, მაგრამ ამ პარტიას არავითარი პოლიტიკური ძალა აღარ გააჩნია. ხალხმა ზურგი შეაქცია მას.

— თურქეთი, მოგეხსენებათ საქართველოს მეზობელი ქვეყანაა. იგი 10 წელია გადავიდა თავისუფალ საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაზე. ჩვენი აზრით, სწორედ დღეს, როდესაც იწყება საქართველოს ბრძოლის ახალი ეტაპი თავისუფლებისათვის, ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, ჩვენ კი ვიცით რას ნიშნავს თავისუფალ საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა რაკი თვითონ გავიარეთ დაახლოებით ასეთივე გარდამავალი რთული ეტაპი დემოკრატიზაციის გზაზე, როგორ უყურებთ მეზობელ თურქეთს და რას მოელით სასიკეთოს მისგან? შეიძლება თურქეთი თქვენთვის ევროპაში გასასვლელი კარი გახდეს?!

— ეს ნამდვილად ასეც უნდა იყოს. მეზობელი ქვეყნები ვართ, ტრადიციულად მეგობრობით დაკავშირებულნი, და ჩვენს შორის საუკეთესო ურთიერთობა ყველა დონეზე უნდა აღდგეს. მოსკოვის იმპერიული ძალები ყოველნაირად ცდილობენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას. რისთვისაც ყოველგვარ დეზინფორმაციას ავრცელებენ როგორც აქ, ასევე თურქეთში, მაგრამ რამდენადაც თურქეთს ვთვლით ევროპულ სახელმწიფოდ, ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ ქვეყნად, ამდენად იგი საიმედო პარტნიორად მიგვაჩნია.

— ისარგებლებთ თუ არა თურქეთის გამოცდილებით თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასახვლელად?

— რასაკვირველია. აუცილებლად მოვიწვევთ ექსპერტებს.

— თუ არ ვცდები, ამ ცოტა ხნის წინ თქვენთან ჩამოვიდა თურქეთის ელჩი სსრკ-ში?

— დიახ, გვეწვია. ჩვენ საუბარი გვქონდა მომავალი ურთიერთობის განვითარებაზე ყველა დონეზე.

— გყავთ თუ არა კადრები და არის თუ არა ბაზისი, რათა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შედარებით უმტკივნეულოდ მოხდეს?

— ალბათ ცოტა გაგვიჭიანურდება ეს პროცესი, ვინაიდან, სანამ მთლიანად არ გამოვეყოფით საბჭოთა კავშირს, სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა გაგვიჭირდება. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ ნაწილი ვართ მთელი საკავშირო ეკონომიკური სისტემისა. ამ გზაზე თურქეთის მხრივ უდიდესი დახმარება იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ცნობა და ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება.

— უცხოურ კაპიტალდაბანდებაზე რას ფიქრობთ?

— რასაკვირველია ინვესტიციებს ფართოდ გავუღებთ კარს, ცხადია, გარკვეული საიმედობის გარანტიით, კანონიერად, სახელმწიფო კონტროლის შენარჩუნებით.

— საქართველოში ხშირად ვაწყდებოდით ამერიკულ დროშებს. რა ურთიერთობა გაქვთ ამ სახელმწიფოსთან, თუ იღებთ მისგან რაიმე დახმარებას?

— კარგი ურთიერთობა გვაქვს. სწორედ ამ დღეებში მიმდინარეობს მოლაპარაკება ჯორჯ ბუშთან ჩემს მომავალ შეხვედრაზე ვაშინგტონში. მალე გაირკვევა საბოლოოდ რა პოზიციას დაადგება ჩვენს საკითხში ამერიკის ადმინისტრაცია. ამერიკის კონგრესი ძალზედ მეგობრულად არის საქართველოს მიმართ განწყობილი, ხშირად იხილავენ ჩვენს საკითხს, მალე კონგრესმენთა დელეგაციაც გვეწვევა.

— მატერიალურად თუ დაგეხმარნენ?

— არც ისე საგრძნობლად, მაგრამ გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობა გვაქვს.

— მსოფლიოში ორი სისტემაა — კაპიტალისტური და სოციალისტური. რომელს აძლევთ უპირატესობას?

ჩვენი მიზანია ავაღორძინოთ კაპიტალისტური წყობილება, ოღონდ სახელმწიფოს გარკვეული კონტროლის შენარჩუნებით.

— ნატოს წევრობას თუ ფიქრობთ?

— ჯერ ეს არ გადაგვიწყვეტია. მომავალი გვიჩვენებს.

— როგორ დაიცავს საქართველო თავს?

— ფორმირების პროცესშია ქართული ჯარი. ჩვენ გვინდა სამხედრო მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ მეზობელ ქვეყნებთან.

— საბჭოთა არმიაში თუ მსახურობენ ქართველები?

— ჩვენი კანონით გავაუქმეთ საკავშირო კანონი, რომელიც აუცილებელს ხდიდა საბჭოთა არმიაში ქართველი ჭაბუკების გაწვევას. ისინი, ახლა, ქართულ გვარდიაში იხდიან სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

— თქვენს საუბარში ახსენეთ რეგიონალური კონფლიქტები. აჭარაზე მინდა გკითხოთ. ათასგვარი ჭორი და ხმებია დარხეული. აქ 400 ათასი მაჰმადიანი ცხოვრობს. თითქოს მათ უკრძალავენ მუსულმანურ სარწმუნოებას, ბავშვებისათვის მუსულმანური სახელების დარქმევას, ქართულად არა აქვთ ყურანი, შევიწროებულებივით არიან. დემოკრატიული რეჟიმის პირობებში აპირებთ თუ არა ამ მხრივ მაჰმადიანთა მხარდაჭერას?

— სწორი ინფორმაცია არა გქონიათ. ჯერ ერთი, რაოდენობაც ძლიერ გაბერილია, თანაც ხნიერი ადამიანები მისდევენ უმეტესად ამ სარწმუნოებას. მათთვის გარანტირებულია ყველა უფლება, აქვთ მეჩეთები, არავინ დევნის, არავინ უშლის რწმენას, ძალიან ბევრს ჰქვია აჭარაში მუსულმანური სახელი, არსებობს მაჰმადიანთა საზოგადოება და ა. შ. კარგი პირადი ურთიერთობა მაქვს ბათუმის ყადისთან. ყურანი ქართულად არსებობს და მათთვის მისაწვდომია. მუსულმანთა შევიწროება კომუნისტების დროს შეიძლება იყო, ახლა — აღარ! მაგრამ ჩვენ აგრეთვე წინააღმდეგი ვართ ქრისტიანთა შევიწროებისა მუსულმანთა მხრივ.

— თურქეთის პრეზიდენტმა, ბატონმა თურგუთ ოზალმა წამოაყენა შავიზღვისპირეთის სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირის წინადადება, ჯერჯერობით თეორიულად, საქართველოც ფიგურირებს ამ წინადადებაში.

— ჩვენ მოგვწონს ეს და აქტიურ მონაწილეობასაც მივიღებთ წინადადებების შემუშავებაში. მით უმეტეს, რომ ახლა ძალზე მწვავედ დგას საერთოდ შავი ზღვის ეკოლოგიის პრობლემა. საერთოდ, გვინდა თურქეთში წარმომადგენლობის გახსნა. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს. ბევრ ქვეყანას სურს ჩვენთან მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული თანამეგობრობა, მაგრამ ჯერჯერობით მოსკოვთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებიან.

— და ბოლოს, ხომ არ მიმართავდით თურქ ხალხს, როგორც საქართველოს პრეზიდენტი?

— თურქეთის ხალხს მინდა ვუსურვო ყოველივე საუკეთესო, და გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სანიმუშო კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდება. იმედი გვაქვს, თურქი ხალხი დაგვეხმარება, რომ თქვენმა სახელმწიფომ დიპლომატიურად ცნოს საქართველოს რესპუბლიკა.

— ბატონო პრეზიდენტო, დიდ მადლობას მოგახსენებთ ინტერვიუსთვის, რომელიც ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდება. გისურვებთ ბედნიერებას და მშვიდობას პირადად თქვენ და თქვენს სამშობლოს.

ინტერვიუ იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

პუბლიკაცია მოამზადა
ზაზა დარასელმა

რედაქციისაგან: გაზეთ „თურქიას“ ჟურნალისტებმა, რომლებიც საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდნენ, 4 დღეს დაჰყვეს თბილისში. ისინი კოლხურ კოშკშიც ეწვივნენ ბატონ ზვიად გამსახურდიას, ესაუბრნენ მასპინძელს სახელოვანი მამის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაზე, ბევრი რამ ახალი შეიტყვეს საქართველოს პრეზიდენტის და მისი ოჯახის ბიოგრაფიიდან.

თბილისში მათ შეხვედრები ჰქონდათ ასევე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებთან, საგარეო საქმეთა სამინისტროში, მშვიდობის დაცვის კომიტეტში.

გაზეთი „თურქია“ ივნისის რამდენიმე ნომერში ვარაუდობს საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი ცხოვრების ამსახველი ამბების გაშუქებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ინფორმაცია

როგორც ცნობილია საბჭოთა კავშირის ეროვნებათაშორისო საბჭოს ამა წლის 24 აპრილის დადგენილება „სამხრეთ ოსეთის და მის ირგვლივ მდგომარეობის ნორმალიზებისათვის წინადადების შესახებ“ თანახმად შეიქმნა საპარლამენტთაშორისო კომისია, რომელშიც შევიდნენ საბჭოთა კავშირის, რუსეთის საბჭოთა ფედერაციის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების წარმომადგენლები. დადგენილების თანახმად კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებიც. კომისიის შექმნის მიზანია კონფლიქტის რეგიონში მდგომარეობის ნორმალიზება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მშვიდობისა და მართლწესრიგის დამყარება, სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების აღდგენა. კომისია მაის-ივნისის განმავლობაში მუშაობდა თბილისში და ცხინვალში. დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია კონფლიქტის დასაძლევად. მხარეებს შორის მიღწეულ იქნა ბევრი მნიშვნელოვანი შეთანხმება. კომისიის მიერ შექმნილ დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს აღნიშნული უზენაესი საბჭოების წარმომადგენლები აღსანიშნავია საქართველოს მოსახლეობისადმი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვის აუცილებლობა, რათა კონფლიქტი გადაიჭრას მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით და არა შეიარაღებული დაპირისპირებით. ხაზი გაესვა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღების აუცილებლობას, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის მოქალაქეობრივ უფლებათა უზრუნველყოფას. ერთ-ერთ ძირითად პუნქტად გამოიყო კონფლიქტის რეგიონში საკოორდინაციო კომიტეტის შექმნის საჭიროება, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე უზრუნველყოფს რეგიონში ბევრი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის კოორდინაციას და მათ სწრაფად გადაწყვეტას. საპარლამენტთაშორისო კომისიასთან უნდა შეიქმნას საინფორმაციო ცენტრი, რომელსაც შეთანხმების თანახმად ოფიციალური ინფორმაციის გავრცელების პრიორიტეტი მიენიჭება.

მიღწეულ შეთანხმებებთან ერთად ბევრმა საკითხმა გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, კერძოდ, კომისიის მუშაობაში მონაწილე ოსი წარმომადგენლების მოთხოვნა — აღდგენილ იქნეს ავტონომიური ოლქის სტატუსი, როგორც კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის წინაპირობა, საპარლამენტთაშორისო კომისიამ არ გაიზიარა.

კომისია მომავალ კვირას განაახლებს თავის მუშაობას.

5 ივნისი 1991 წელი.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს

„მეგაპოლის ექსპრესის“ 1991 წლის მეოცე ნომერში გამოქვეყნდა „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ საკუთარი კორესპონდენტის ა. მიქაძისა და „მეგაპოლის ექსპრესის“ საკუთარი კორესპონდენტის დ. ფურცხვანიძის ცილისმწამებლური სტატია სათაურით: „საქართველო: ყველა კანდიდატი თანასწორია, მაგრამ უსაფრთხოების გარანტიას არ ვიძლევით“.

სტატიის ავტორები აყალბებენ ფაქტებს და ცდილობენ ამ გაზეთების მკითხველები როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ შეიყვანონ შეცდომაში და შეუქმნან მათ არასასიკეთო ემოციები და არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება საქართველოსა და იქ მიმდინარე პროგრესული პროცესებისადმი.

ყველაზე დიდი ჭორი სტატიის ბოლოშია. „მეგაპოლის ექსპრესის“ მკითხველებს ვაცნობებთ, რომ, ჯერ ერთი, არ არსებობს არავითარი „საერთაშორისო ჰელსინკის კავშირი“, რომლის წევრი თითქოსდა იყოს „ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“. ეს ჟურნალისტების აშკარა ლაფსუსია. მეორე, არსებობს „საერთაშორისო ჰელსინკის ფედერაცია“, რომლის წევრი „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“ არასოდეს არ ყოფილა. მესამე, არსებობს „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება“ (მაინის ფრანკფურტი). მისი წევრია დღემდე „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“. ამ ორგანიზაციის მეთვალყურენი დაესწრნენ საქართველოში ახლახან ჩატარებულ პრეზიდენტის არჩევნებს. ქვემოთ მოგვყავს ამ ორგანიზაციის წერილი, რომელიც ამა წლის 5 ივნისს მივიღეთ.

მაგული გაგნიძე,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კონსულტანტი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი

1991 წლის 6 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

გწერთ თქვენ, რათა მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც გაუწიეთ საქართველოში ჩამოსულ ჩვენს ორ წარმოგზავნილს ბატონ ანსგარ გრაუს და ქალბატონ ვანდა ვანსაიდლერს პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში. განსაკუთრებით მადლიერი ვართ თქვენი იმისათვის, რომ ხელშემწყობი პირობები შეუქმნით და განუსაზღვრელი თავისუფლება მიანიჭეთ, რათა თვალყური ედევნებინათ არჩევნებისათვის.

მოცემული ფაქსის 2 და 3 ფურცლის სახით ვურთავ გერმანიის პრესაში გამოქვეყნებულ მასალას ამ ვიზიტის შესახებ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ ამ არჩევნებში გამარჯვება, აგრეთვე გისურვოთ ყოველგვარი წარმატებანი თქვენს საპატიო პოსტზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების სამდივნოს წევრთა სახელით.

ჩვენ სიამოვნებას მოგვგვრიდა გაგვეწია თქვენთვის მასპინძლობა, თუ შესაძლებლად მიიჩნევდით ეწვიოთ გერმანიას არაოფიციალურ ვიზიტად.

გულწრფელად თქვენი
რობერტ ჩემბერსი,
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივანი.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება

საქართველოში არჩევნებმა საერთოდ სწორად ჩაიარა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების მეთვალყურეებმა შეაჯამეს საქართველოში თავიანთი ყოფნის შედეგი.

„საერთოდ და მთლიანად არაფერი არ მომხდარა და სწორად ჩაიარა“ — ასე შეაფასეს მაინის ფრანკფურტში არსებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების მეთვალყურეებმა, თავიანთი დაბრუნების შემდეგ საქართველოში რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები.

საბოლოო ანგარიშით, 26 მაისს, არჩევნებში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა კანდიდატმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოსაგან“ ზვიად გამსახურდიამ (1939).

ხმების 90 პროცენტის დათვლის შემდეგ, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების მეთვალყურეებმა შეიტყვეს ორშაბათს საქართველოს დედაქალაქ თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე, გამსახურდიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 87,8 პროცენტმა. ვალერიან ადვაძემ, რომელიც დაასახელა საქართველოს „ეროვნული ერთობისა და აღორძინების კავშირმა“ და რომელსაც განაკუთვნებენ კომუნისტური რეფორმების ბლოკს, მიიღო ხმები 7,8 პროცენტი. დანარჩენი ოთხი კანდიდატი ბევრად ჩამორჩა მათ.

არჩევნებში მონაწილეობდა, წინასწარი მონაცემებით, ამომრჩეველთა 83,15 პროცენტი.

სამშაბათს, 28 მაისს ჩამოსვლისთანავე გაიმართა პრესკონფერენცია მაინის ფრანკფურტში, რომელსაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების მეთვალყურეებმა მოახსენეს, რომ ისინი ეწვივნენ სხვადასხვა საარჩევნო უბნებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც რამდენიმე თვის წინათ მოხდა შეტაკებანი ეროვნულ ნიადაგზე, და აღნიშნეს პრეზიდენტის თავისუფალი და ფარული არჩევნების ფაქტი. ადგილობრივი საარჩევნო კომისიები შედგებოდა სხვადასხვა ეროვნული ჯგუფების წარმომადგენლებისაგან, რომელთა შორის იყვნენ აფხაზები, ქართველები, რუსები და ებრაელები.

აზრთა გაზიარებამ კოლეგებთან და ჟურნალისტებთან, რომლებიც არჩევნების პროცესს მეთვალყურეობდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში, დაადასტურა არჩევნების კორექტული ჩატარების ფაქტი. აქედან გამონაკლისი იყო ორი ქალაქი აფხაზეთში და ოსეთის ოლქი საქართველოს ჩრდილოეთში, სადაც არჩევნები ბოიკოტირებული იყო ეროვნულ გამწვავებათა მიზეზით.

ქართული მონაცემებით, ბოიკოტით მოცულ ოლქებში ცხოვრობს 100 000-ზე მეტი კაცი.

მთელი საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 5,5 მილიონს.

ოსეთის ოლქში, სადაც სტატუსი „ავტონომიური ოლქი“ კონფლიქტის შედეგად გააუქმა საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე თვის წინათ, გამოკითხულმა გამვლელებმა განაცხადეს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, რადგან თავიანთ თავს მიაჩნიათ არა საქართველოს ნაწილად, არამედ რუსეთის ფედერაციის კუთვნილი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნაწილად, რის გამოც მათ სურთ დარჩნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. საქართველოს კი ეს არჩევნები მიაჩნია შემდგომ ნაბიჯად თავისი დამოუკიდებლობის გზაზე. მაგრამ, ამავე დროს, ცხინვალში მცხოვრებმა ოსებმა, სადაც აგრეთვე იყვნენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების მეთვალყურენი, აღიარეს, რომ მათს კულტურულ და ენობრივ ავტონომიას უზრუნველყოფდა საქართველოს მთავრობა და რომ მათ ოლქში არის ოსური სკოლები, სამეცნიერო დაწესებულებანი და ინსტიტუტი.

ზვიად გამსახურდიამ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს დაწვრილებით საუბარში განუცხადა, რომ დაძაბულობის შენელების შემდეგაც კი იგი არ შეიცვლის თვალსაზრისს ამ პრობლემაზე, რომ ეს არ ეხება აფხაზეთის ავტონომიას.

მან საბჭოთა ცენტრალურ მთავრობას ბრალად დასდო ეროვნული კონფლიქტების გაღვივება და საქართველოში მდგომარეობის დესტაბილიზაციისათვის არმიის არსენალებიდან მიღებული იარაღით ექსტრემისტთა მომარაგება.

ამის საპირისპიროდ, ერთმა საბჭოთა მაიორ-მედესანტემ, რომლის ნაწილიც გაგზავნეს აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელს განუცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულია უკვე ერთი წლის წინათ და საერთო არა აქვს რა საქართველოს დამოუკიდებლობასა და არჩევნებთან.

საქართველოში თავიანთი ყოფნის ბოლოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა უარყვეს ჭორები იმის შესახებ, რომ საქართველოს ჰელსინკის მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელია გამსახურდია, გარიცხულია ამ საზოგადოებიდან. თანამშრომლობა მათ შორის გრძელდება და მომავალში კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებამ გამოთქვა აგრეთვე კრიტიკული შენიშვნები, მაგალითად: მრავალი ფაქტი მოწმობს, რომ არჩევნების წინ პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებს ეძლეოდათ შეზღუდული შესაძლებლობანი გამოსულიყვნენ თავიანთი პოლიტიკური პროგრამებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. გარდა ამისა, საქართველოში დაპატიმრებულია 70 კაცი. გამსახურდიას მონაცემებით, ამ შემთხვევაში ლაპარაკია დამნაშავეებსა და ტერორისტებზე, ხოლო ოპოზიციის აზრით — „პოლიტიკურ პატიმრებზე“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოებამ პრეზიდენტს მოსთხოვა, რომ დააჩქაროს სასამართლო პროცესი და დაიწყოს საქმის სამართლიანი წარმოება, ბოლო მოეღოს მათ საეჭვო პატიმრობას. ამასთან სხვებს შორის ლაპარაკია საქართველოს ლეგიონის „მხედრიონის“ ხელმძღვანელზე ჯაბა იოსელიანზე (დაბადებული 1926 წ.), რომელიც წინათ დაპატიმრებული იყო ძარცვისა და მკვლელობისათვის. გამსახურდია დაეთანხმა ამ მოთხოვნას. სასამართლო პროცესი იოსელიანის საქმის გამო დაიწყება ამა წლის აგვისტოში.

საქინფორმი.

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

დესტრუქციული ძალები, რომლებსაც არაფრით არ სურთ სამაჩაბლოში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება, ამ ბოლო ხანებში ყოველნაირად ცდილობენ ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას რეგიონში.

5 ივნისს ღამის პირველი საათიდან დილის 5 საათამდე სოფლების დმენისისა და სათიხარის მხრიდან ოსი ბანდიტები უტევდნენ ქსუისისა და დისევის ქართველ მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ თავდასხმის შესახებ შეტყობინება მიიღეს სსრ კავშირის შინაგანი ჯარის წარმომადგენლებმა, მათ არაფერი იღონეს ბანდიტების ალაგმავად, ქსუისისა და დისევის ქართველ მოსახლეობას საკუთარი ძალებით მოუხდა ბანდიტების მოგერიება. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს აქვთ სარწმუნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბოლო ხანებში ჩრდილოეთ ოსეთიდან სამაჩაბლოში გადმოისროლეს „ბოევიკების“ დიდი ჯგუფი, რომლებიც აქამდე ინგუშებთან ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

სოფელ სათიხარის ტყეში დაბანაკებულია ასზე მეტი ოსი ბანდიტი. აქვე ჰყავთ მორეკილი ქართველი მოსახლეობისთვის წართმეული დიდძალი პირუტყვი. შინაგანი ჯარის ნაწილის ხელმძღვანელობისათვის ეს ფაქტიც ცნობილია, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებს ბანდიტების დასაკავებლად და პირუტყვის ქართველი მოსახლეობისათვის დასაბრუნებლად.

ცენტრი აქტიურად უჭერს მხარს ეგრეთ წოდებული სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მილიციას, რომელიც კონფლიქტის დაწყებისთანავე ჩადგა ოსი სეპარატისტებისა და ექსტრემისტების სამსახურში. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დღეებში მას გამოუყო ათი ავტომანქანა და 2 მილიონი მანეთი ფული ათასკაციანი პირადი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად.

5 ივნისს დღის 1 საათზე ცხინვალში, სამხედრო ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღით ფეხში დაჭრეს ადგილობრივი მკვიდრი თემურ გოგიძე, რომელიც ძროხას აძოვებდა.

6 ივნისს ოსი ბანდიტები მთელი ღამის განმავლობაში უშენდნენ ცეცხლს გორის რაიონის სოფელ ნიქოზს. თავდასხმაში მათთან ერთად მონაწილეობდნენ სამხედროებიც, რომლებიც ჯავშანტრანსპორტიორებიდან ისროდნენ. უიარაღო მოსახლეობამ თავი შეაფარა სამალავებს, რის წყალობითაც მსხვერპლი თავიდან იქნა აცილებული.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრი.

საქინფორმი.

გამოხმაურება

შიგნიდან გატეხილი ციხე

მოსკოვშ[illegible] „კომსომოლსკაია პრავ[illegible] ბედი სწყალობს: თვე თუ არა, წელიწადი ისე როგორ გაივლის, ტყუილ-მართლით კბილებამდე შეიარაღებული ვინმე კორესპონდენტი არ იპოვნოს და მიზანში ამოღებულ ქართველ ხალხს თავზე ლაფი არ დაასხას!

მსგავს საქმეებში უაღრესად გამოცდილ რედაქციას არ ეშლება, რა როგორ უნდა გააკეთოს. კარგად იცის, მაგალითად, რომ თუ შენი მიზანი ქართველი ხალხის სამარცხვინო ბოძზე გაკვრაა, ცილისწამების მოწამლული იარაღი მით უფრო გასჭრის, თუ მიუდგომელი სიმართლის მქადაგებლად არა ვინმე გადამთიელს, არამედ სწორედ ქართული გვარის მატარებელ კაცს გამოიყვან, გამოძებნი ისეთ პიროვნებას, ვისაც შუბლის ძარღვი კარგა ხანია გაწყვეტილი აქვს და თვალის დაუხამხამებლად შეუძლია, ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული მშობლიური ციხე შიგნიდან გატეხოს.

სიმართლისათვის თავგამოდებულ ერთ-ერთ ასეთ ფალავნად მოგვევლინა 1938 წელს მოსკოვში დაბადებული, მოსკოვისა და თბილისის უნივერსიტეტების ყოფილი სტუდენტი, ამჟამად საზღვარგარეთ მცხოვრები, ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ძველი დისიდენტი ვინმე ვალერი ჭალიძე, რომელმაც „კომსომოლსკაია პრავდის" 24 მაისის ნომერში საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობისადმი მიძღვნილი კარგა მოზრდილი წერილით გაგვახარა. წერილს მეტად გონებამახვილური და დამაფიქრებელი სათაური აქვს: „ღირს კი ხალხთა საპყრობილე განცალკევებულ საკნებად გადავაქციოთ?"

შორეული ვერმონტის ახალბედა მკვიდრს, ბატონ ვალერი ჭალიძეს, თუ ჩალიძეს, როგორც რუსული ტრანსკრიფციით იწერება და გამოითქმის, ამ წერილს რომ უკვეთავდა და შემდეგ მოწონებულს თავის გვერდებზე თვალსაჩინო ადგილს უთმობდა, რედაქცია, ვფიქრობ, მთლად ხელჩაქნეული არ იყო, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნდა ქართველი ერის ზნეობრივი გადაგვარების, მისი პოლიტიკური და მორალური დაქვეითების საქმე.

რა გვაძლევს ამ ვარაუდის საბაბს?

უკეთუ დედამიწის ზურგზე ქართული გვარის მატარებელი თუნდ ერთი კაცი მაინც მოიძებნება, ვისაც ღონე შესწევს, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და ჭეშმარიტებას უღალატოდ ემსახუროს, თუნდაც ის არა ვინმე თბილისელი, ქუთაისელი, ბათუმელი, ზუგდიდელი, თელაველი ან სოხუმელი, არამედ ვერმონტელი კაცი იყოს, მისი მშობელი ერის სინდის-ნამუსის საქმე საბოლოოდ განწირული არ არის! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სადღაც ცხრა მთას იქით გადახვეწილი თანამემამულის მართალ სიტყვას ჯერაც სამშობლოში მცხოვრები მისი მოძმე ქართველები სხვებთან ერთად გაიგონებენ, შეისმენენ და, ვინ იცის, იქნებ გამოსწორების გზასაც დაადგნენ, ასე რომ, არც ავტორსა და არც რედაქციის ჩვენგან საყვედური არ ეთქმით. პირიქით, მთელი მსოფლიოს წინაშე შესარცხვენად და თავლაფის დასასხმელად განწირულ ქართველებს მადლობის თქმაც კი გვმართებს!

მაგრამ, მოდით, მაინც ნუ ვიჩქარებთ, ჭალიძისეულ წერილს თავიდან ბოლომდე ჩავყვეთ და თუ მართლა სამადლობელს რასმე წავაწყდით, ვინ დაგვიშლის, მადლობის გადახდა არასოდეს არ არის გვიან!

ჩვენი ვერმონტელი თანამემამულე ერთობ გაუნაწყენებია და აღუშფოთებია საქართველოში ბოლო დროს მომხდარ ამბებს, გაუნაწყენებია ქართველი ხალხის სწრაფვას დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ, სუვერენული ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ.

სამწუხაროდ, ბოლშევიზმის გულწრფელად მოძულე ავტორმა, ეტყობა, არ იცის, რომ ის ამ მხრივ თვით ლენინზე უფრო მარცხნივ წავიდა, იმ ლენინზე მარცხნივ, ვისაც ამა თუ იმ ერის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, აი, ის, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ თვით ჩაიდინა, უდიდეს უბედურებად მიაჩნდა. მიაჩნდა სიტყვით, რასაკვირველია, მაგრამ ბოლშევიკისათვის, ისიც თვით ლენინისათვის, სიტყვაც ხომ საქმეა!

სამაგიეროდ, რედაქციასთან ერთად, ბატონმა ვალერი ჭალიძემ კარგად იცის, რომ მეოცე საუკუნის ყველაზე უფრო რეაქციული სახელმწიფოებრივი წყობა, რომელმაც მსოფლიო ხალხებს უდიდესი უბედურება მოუტანა, თუ მხედველობის გარეთ დავტოვებთ ბოლშევიკების მიერ აშენებულ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებას, ფაშიზმი, ჰიტლერული ახალი წესრიგია. საკმარისია მიანიშნო, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში ფაშისტები მოვიდნენ, ფაშისტური წყობილება იმარჯვებს, რომ უკლებლივ ყველასათვის ცხადი გახდეს: იქმნება ან უკვე შექმნილია კაცთმოძულეობის კიდევ ერთი კერა, რომლის წინააღმდეგ გალაშქრებაც პიროვნების თავისუფლებისათვის მებრძოლი ყოველი პატიოსანი ადამიანის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა!

თუ [illegible]რეთ დავტოვებ ყოველგვარი თავისუფლების დამთრგუნველი კომუნისტური იმპერიის შემქმნელ სტალინს, დიდი ლენინის ერთგულ მოწაფეს, ვინ შეიძლება დასახელდეს ცივილიზებული საზოგადოების ნომერ პირველ მტრად? რა თქმა უნდა, ჰიტლერი! ჰიტლერის არსებობა თავისთავად გულისხმობს ჰიტლერიზმის არსებობას, ხოლო იქ, სადაც ბოგინობს ჰიტლერი და ჰიტლერიზმი, მძვინვარებს ფაშიზმი, ჯოჯოხეთი ჯოჯოხეთთა შორის!

რას იტყვი, მკითხველო? სწორად მსჯელობს თუ არა ავტორი? რასაკვირველია, სწორად მსჯელობს, თუ მის მსჯელობას ზოგად პოსტულატად მივიჩნევთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ვერმონტელი თანამემამულე ზოგადი განცხადებით არ კმაყოფილდება, კონკრეტული ამბების ანალიზზე გადადის და სწორედ აქედან იწყებს თეთრი ძაფით ლამბვას, მიმდობი მკითხველისათვის გზაკვალის აბნევას.

ბატონ ვალერი ჭალიძის მახვილი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ახალარჩეული პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ არის მიმართული. ის მას ომს უცხადებს, როგორც პიროვნებას და საქმეში სამშობლოში ნაკლებად ცნობილ ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის ავტორიტეტსაც იშველიებს. ამ წერილით მე მიზნად არ დამისახავს ვისიმე პიროვნების დაცვა. პრეზიდენტი, თუ საჭიროდ მიიჩნევს, ალბათ, თვით დაიცავს თავის პიროვნულ ღირსებას, მე კი თავს უფლებას მივცემ, ბატონ ჭალიძეს ფეხდაფეხ მივყვე და კბილი მოვუსინჯო საბუთებს, რომლებითაც იგი საქართველოში ფაშიზმის გამარჯვების მითის დამტკიცებას ცდილობს.

რა ნიშნებით ხასიათდება „ქართული ფაშიზმი", რომელსაც საქართველოში ქართველი ხალხის თვალწინ და მისივე მხარდაჭერით ამკვიდრებენ? რა აქვს მას საერთო, ვთქვათ, გერმანულ, იტალიურ ან იაპონურ ფაშიზმთან?

უპირველეს ყოვლისა, მისი იდეოლოგიის საფუძველთა საფუძველი რასიული თეორია. ქართული ფაშიზმი, არც იქით, არც აქეთ, თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს ლოზუნგით: „საქართველო ქართველებისათვის!" იგი პირდაპირ ეხმაურება ლიტველი ფაშისტების მიერ გადმოსროლილ ლოზუნგს: „ლიტვა ლიტველებისათვის!"

წერილის ავტორი, ეტყობა, არ არის მთლად დარწმუნებული, რომ „კომსომოლსკაია პრავდის" მკითხველები რთულად ჩახვეულ სილოგიზმებს გაუგებენ და ამიტომ უტრირებას მიმართავს, პირდაპირ და შეუნიღბავად ამბობს, რომ ქართველები საქართველოში ადამიანებს კანის ფერისა და სისხლის შემადგენლობის მიხედვით არჩევენ, ზუსტად იმ გზასა და კვალს ადგანან, რამაც ნაციზმის ბაცილით მოწამლული ერები მეორე მსოფლიო ომში სამხედრო კატასტროფამდე მიიყვანა და ერთი მითხარით, არის თუ არა ეს ფაშიზმი.

ამაზე უფრო ნათლად ლაპარაკი შეუძლებელია და არც მკითხველს გაუჭირდება რისამე გაგება, აქ რომ ყველაფერი სარწმუნო იყოს და ბატონ ვალერი ჭალიძის მიერ გასახმაურებლად მოხმობილი ამბავი სიმართლეს შეესატყვისებოდეს. სანამ უამისოდაც შავ დღეში მყოფ საქართველოს „კომსომოლსკაია პრავდას" ფურცლებზე საბურთაოდ გაიმეტებდა, მას რომ თავი შეეწუხებინა და მიახლოებით მაინც გაეხილა, სად და ვისგან გაიგონა საქართველოში მართლაც და ღვთის გამარისხებელი ლოზუნგი „საქართველო ქართველებისათვის!" ერთობ მადლიერი დავრჩებოდით. ვინ და როდის უთხრა მას, ანდა ვინმე სხვას, არა მარტო დღეს, არამედ რომელიმე საუკუნეში, თუნდაც ათასი და ორი ათასი წლის წინათ, ქართული მიწა მხოლოდ ქართველების საცხოვრისია და, თუ გინდათ, თავი მთელი შეგრჩეთ, აქ ფეხის დამდგმელი სხვა არავინ დაგინახოთ? სად გაიგონა ან ამოიკითხა, რომ ქართველი კაცი მის სამშობლოში მოსულ კაცს, სტუმარს თუ ხიზანს, კანის ფერითა და სისხლის შემადგენლობის მიხედვით არჩევდა? თუ ეს მართლა ასე იყო და დღესაც ასეა, მაშ, საიდან და როგორ გაჩნდნენ საქართველოს ფარგლებში ას ათასზე მეტი რუსი, ორას ათასზე მეტი აზერბაიჯანელი, სამას ათასზე მეტი სომეხი და კიდევ ოთხმოცამდე სხვა ერის წარმომადგენელი, რომელთაც არასოდეს არ უგრძვნიათ, რომ მრავალეროვანი, ყოველი გაჭირვებულისა და მიუსაფარის მფარველი საქართველო მათი ერთადერთი სანუკვარი სამშობლო არ არის?

როგორ მოხდა, რომ ყველა ამათ, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ამ რამდენიმე კვირის წინათ ჩატარებულ საყოველთაოსახალხო რეფერენდუმში ქართველ ხალხთან ერთად ხმა მისცეს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას?

თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ ქართველი ერის ავის მოსურნეთა მიერ დაყრილ ჭორებს, თითქოს კენჭისყრა სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული ზემოქმედებით მომხდარიყოს, თითქოს ყველა არაქართველს დამუქრებოდნენ, თუ დამოუკიდებლობას ხმას არ მისცემთ, დღესვე გუდა-ნაბადს აგიკრავთ და აქედან გაგყრითო, ამ მუქარის შესრულება, თუკი იგი მართლა გამოითქვა, მაშინ უფრო ადვილი არ იქნება, როდესაც საქართველო კოლონიური უღლისაგან საბოლოოდ გათავისუფლდება და სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მოიპოვებს?

მაშ, რისთვის მიუციათ ხმა საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ არაქართველთ — აფხაზებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, რუსებს, ებრაელებს, უკრაინელებს, ასირიელებს, ქურთებს, ბერძნებს, ესტონელებს და სხვათა და სხვათა, ნუთუ მამა-პაპის ფუძიდან აყრისათვის და საქართველოდან მათი გასახლებისათვის? შეიძლება, ეს აბსურდი ვინმე ჭკუათმყოფელმა დაიჯეროს? შეიძლება, პოლიტიკოსი თუ პოლიტიკოსობის მოსურნე, ვინც მოსკოველ იმპერიალისტთა გულის მოსაგებად ამ საზიზღარ ჭორს ქადაგებს და ქართულ ნაციზმზე სერიოზულად მსჯელობს, ანგარიშგასაწევ პიროვნებად ჩავთვალოთ? შეიძლება, თავისი თავის პატივისმცემელმა ბეჭდვითმა ორგანომ ადგილი დაუთმოს ამა თუ იმ ერის შეურაცხმყოფელ მასალას, საიდანაც ყურით მოთრეულ დასკვნებს და აზრადაც არ დაებადოს, ავტორს დასკვნების დამადასტურებელი საბუთები მოსთხოვოს? ეს სისხლის სამართლის საქმეა, ძვირფასებო, მიზნად ხალხთა შორის ეროვნული შუღლის ჩამოგდებას და გაღვივებას რომ ისახავს და სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც არამცთუ მთელი ერის უშვერი სიტყვებით გალანძღვა, პიროვნების ღირსების ხელყოფაც კი შეუძლებელია, მსგავს აღვირახსნილ გამოხდომას „კომსომოლსკაია პრავდას" ვინმე აპატიებდა?

თურმე ნუ იტყვით, ბოლო ხანს, რაც ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ გაცხოველებული ხასიათი მიიღო, საქართველოში პოლიტიკური მკვლელობები გავრცელებულა.

ამას შავით თეთრზე წერს ჩვენი ვერმონტელი კეთილისმყოფელი.

საქართველოში, ისევე როგორც მთელი კავშირის მასშტაბით, თუ საქმეს კრიმინალისტური თვალსაზრისით მივუდგებით, ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაა. მკვლელობებსა და სხვა სამართალდარღვევებს სათვალავი აღარა აქვს. ამას არც არავინ უარყოფს და არც არის საჭირო მისი უარყოფა, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, საიდან მოვიტანეთ და ჩავსვით ზემოთხსენებულ სტატიაში ეს „პოლიტიკური მკვლელობები", რომელიც ღვთისაგან და კაცისაგან მიტოვებულ საქართველოში ბოლო დროს აგრე გავრცელებულა. „პოლიტიკური მკვლელობა" ხომ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური მოტივით მოკვლას ეწოდება? გაგვაგებინეთ, პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, პოლიტიკური მოტივით თუ ამ მოტივის გარეშე, ვინ მოკლეს საქართველოში უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე? ნუთუ ერთი კონკრეტული სახელი და გვარი მაინც არ გვახსენდება?

როგორ დავარწმუნოთ „კომსომოლსკაია პრავდის" მკითხველი, ვინც ბატონ ჭალიძის წერილი უკვე წაიკითხა და იქ მოწოდებული ინფორმაციაც ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად მიიჩნია, რომ ამჯერადაც დაუმსახურებელ ლაყე კვერცხებს ესვრიან საქართველოს, რომ აქ არც ერთი „პოლიტიკურ მკვლელობასთან" მიმსგავსებული დანაშაული არ მომხდარა? ვერაფრითაც ვერ დავარწმუნებთ, ვინაიდან ეს წერილი იმავე გაზეთის ფურცლებზე გასაგები მიზეზების გამო ვერ დაიბეჭდება და საკავშირო პრესის, თვით „კომსომოლსკაია პრავდის" ზანგით გაბრუებული მკითხველიც სიმართლეს ვერასოდეს ვერ შეიტყობს. რედაქციისა და ავტორის ჯავრიც ეს იყოს. ძალიან არ ენაღვლება, რას ბფიქრებენ საქართველოზე მავანნი და მავანნი?!

ბატონი ვალერი ჭალიძე აღშფოთებულია, მას ვერა და ვერ მოუნელებია, რომ „ხალხისაგან პატივცემული მოძღვრები" არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ საქართველოში ფაშიზმის შავი ჭირის გავრცელებას, პირიქით, მათდა სამარცხვინოდ, მხარსაც კი უჭერენ ამ პროცესს და სამაგალითოდ მოჰყავს აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, რომელსაც წერილი გამოუქვეყნებია საქართველოს ინგლისურენოვან გაზეთში „თე ჯორჯ მესინჯერ" და ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემისათვის ნათელის მოფენა განუზრახავს.

აი, რა სიტყვებით ამკობს ბატონი ვალერი ჭალიძე თანამედროვეობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მეცნიერს, მის მიერ „„ცნობილ ლინგვისტად" მოხსენიებულ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს:

„ძლევს თუ არა ის (თამაზ გამყრელიძე. — რ. ჯ.) ხალხს სინდისის დალაქავების მაგალითს, როდესაც სამხრეთ ოსებისათვის ავტონომიის ჩამორთმევას ამართლებს?"

სინდისის საკითხს ქვემოთ გაკვრით კიდევ შევეხებით, ახლა კი მინდა ვკითხო პატივცემულ ვალერი ჭალიძეს: მოეხსენება თუ არა, როდის აქეთ არსებობს თვით სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი", ანუ „სამხრეთ ოსები", როგორც ის ბრძანებს, მოიპოვება თუ არა კავკასიის ისტორიულ გეოგრაფიაში ამ სახელწოდების მქონე ტერიტორიული ერთეული? ნუთუ დედამიწის ამ რეგიონის ისტორიასა და გეოგრაფიაში ასე თუ ისე ჩახედული კაცი სერიოზულად ფიქრობს, რომ ოდესღაც, საუკუნეების სიღრმეში, ერთი ოსეთი არსებობდა და შემდეგ ის მიზეზთა და მიზეზთა გამო ჩრდილო და სამხრეთ ოსეთებად დაიყო? იქნებ ის ერთადერთი ოსეთი მეზობელმა მტაცებელმა სახელმწიფოებმა დაინაწილეს და კონტინენტების გამყოფი ბუნებრივი საზღვარი — კავკასიის მთავარი ქედი ამ ნაწილებს შორის შემდეგ ამოვიდა, რათა ერთიანი ქვეყანა ჩრდილო და სამხრეთ ოსეთად დაეყო?

ვერ გეტყვით, პატივცემული ავტორი რას ფიქრობს, მაგრამ რაკი გადაუდებელმა საჭიროებამ მოითხოვა, მე მინდა მას მოვაგონო, რომ არასოდეს არავითარი ორი ოსეთი არ არსებულა, როგორც არ არსებობს და არ არსებულა ორი საქართველო, ორი რუსეთი, ორი საფრანგეთი, ორი იტალია. ისტორიამ იცის მხოლოდ ერთი ოსეთი, რომელიც ევროპისა და აზიის გამყოფი კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს. ქედის სამხრეთ კალთებზე, აზიის მხრიდან, საქართველოს მთიანეთია შეფენილი.

დედამიწის ზურგზე, როგორც ცნობილია, არც ერთი ხალხი, უპირველეს ყოვლისა, მეზობელი ხალხები, იზოლირებულად არ ცხოვრობს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ყველამ ჩინებულად იცის, ვინ ვისთან მოვიდა და ვინ ვისი მიწა-წყლის მადლს იზიარებს.

დამპყრობელთა განუწყვეტელ შემოსევებისაგან შეწუხებული ოსი მოსახლეობის ერთადერთი საიმედო თავშესაფარი, სადაც შეეძლო სიცოცხლე გადაერჩინა, შედარებით მიუდგომელი და დაცული საქართველოს მთები, კავკასიონის სამხრეთი კალთები იყო. რაკი ადგილობრივი მთიელები მათ თანაგრძნობით ხვდებოდნენ, თბილ ლუკმას უყოფდნენ და ღამის გასათევ ადგილს აძლევდნენ, ლტოლვილმა ოსებმა თანდათან ფეხი მოიკიდეს ამ ადგილებში, თავიანთი ქართველი მეზობლების ენა შეითვისეს და ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაებნენ. შემდეგ და შემდეგ მათ ბარშიაც ვხედავთ. ქართველი ფეოდალები: წერეთლები (ზემო იმერეთში), ჯაფარიძეები (რაჭაში), მაჩაბლები, ამილახვრები, ფალავანდიშვილები, ციციშვილები, ქსნის ერისთავები (ქართლში) ომებში გამეჩხერებული მოსახლეობის შესავსებად მთებიდან ჩამოყვანილ ოსებს ხიზნებად ასახლებენ თავიანთ საბატონო მიწებზე, თავიანთ ქართველ ყმაგლეხებს შორის.

უკვე მე-19 საუკუნე ილევა და გეოგრაფიული ცნება „სამხრეთ ოსეთი", ისევე როგორც „ჩრდილო ოსეთი" ჯერ კიდევ არ არსებობს. ეს ორი ცნება იბადება და ხმარებაში შემოდის ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დამდეგს, როდესაც ქართველმა ბოლშევიკებმა დამხმარე ოსებს, რომელთაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ზურგში მახვილის ჩასაცემად იყენებდნენ, მათთვის პოლიტიკურად არასაიმედო ქართველთა შემდგომი დასუსტების მიზნით დაპირება შეუსრულეს და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ნების წინააღმდეგ ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებული ავტონომია შეუქმნეს. ავტონომიის კანონიერებასა თუ უკანონობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ოლქის დედაქალაქად გამოცხადებულ ცხინვალში ავტონომიის შექმნის დროისათვის მხოლოდ ათი-თორმეტი კომლი ოსი მოსახლე ბინადრობდა. უხსოვარ დროიდან მოყიდებული ცხინვალი ქართული ქალაქი იყო და ქართველებთან ერთად იქ ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ.

ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ ოლქის ოსურმა ადმინისტრაციამ ყველა ღონეს მიმართა, ძირძველი ქართველი მოსახლეობა უკიდურესად შეევიწროებინა და შიგა ქართლის ამ რეგიონის ერთადერთი ბატონ-პატრონი გამხდარიყო. დაიცალა და გაუკაცრიელდა ოდესღაც ქედგადაღმიდან ლტოლვილ ოსთა სოფლები ლიახვისა, ჯეჯორისა, პატარა ლიახვისა და ქსნის სათავეებშიდა ჩრდილოეთიდან ახალგადმოსულ თავიანთ თანამემამულეებთან ერთად ისინი ცხინვალსა და მის შემოგარენში დასახლდნენ და აქაური მკვიდრი მოსახლეობა ისერიგად შეავიწროვეს, რომ ბევრნი ამ უკანასკნელთაგან იძულებული გახდნენ, მამა-პაპის ფუძე მიეტოვებინათ და ქვეყნის სხვა რეგიონებში გადასახლებულიყვნენ.

შვიდი ათეული წლის განმავლობაში ასე გადაიქცა ცხინვალი ოსურ ქალაქად და ასე იქცნენ ცხინვალელი ქართველები ეროვნულ უმცირესობად, ეროვნულ უმცირესობად არა სადმე სხვაგან, არამედ საკუთარ სამშობლოში, საკუთარ სახლში!

რას გვიბრძანებს ყოველივე ზემოთ მოთხრობილის გამო ბატონი ვალერი ჭალიძე? ბატონ თამაზ გამყრელიძისა არ იყოს, იქნებ მეც ეშმაკს შევუთანხმდი, სინდის-ნამუსზე ხელი ავიღე და ვთქვი?

არავინ უარყოფს, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ქართველებსა და ოსებს შორის, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებებს შორის, ეროვნულ ნიადაგზე არც ერთი გაუგებრობა და უკმაყოფილება არ ჩამოვარდნილა. ქალაქადაც და სოფლადაც ქართველები და ოსები შერეულად ცხოვრობდნენ, ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ჭირიც ერთი ჰქონდათ და ლხინიც, ამყარებდნენ ნათესაურ ურთიერთობებს და ერთმანეთზე უფრო საყვარელი არც არავინ ჰყავდათ. ეს კეთილი ურთიერთობა დღესაც განუხრელად გრძელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ასი ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს. ორჯერ მეტი, ვიდრე ყოფილი ავტონომიური ოლქის მთელი მოსახლეობაა!

მაშ, რა მოხდა ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ხელოვნურად შექმნილ ავტონომიაში? რა მოხდა და ნებაზე მიშვებულმა ოსმა პარტოკრატებმა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან, აქაოდა ნაციონალისტობა არავინ დაგვაბრალოსო, ყოვლად გაუმართლებელი დათმობებით რომ სარგებლობდნენ, ფრთები გაშალეს, აქაურობა თავის სამემკვიდრეო ადგილ-მამულად მიიჩნიეს და როდესაც მთელს იმპერიაში გამეფებული ანარქია საქართველოსაც მოსწვდა, გადაწყვიტეს, დროა, ხელი ჩვენც გავანძრიოთ და ამღვრეულ წყალში თევზი დავიჭიროთო.

კერძოდ რა მიზანს ისახავდნენ? გამოეცხადებინათ ოლქი რესპუბლიკად, მეორე ოსურ რესპუბლიკად სსრ კავშირის შემადგენლობაში, გამოეყვანათ იგი საქართველოს დაქვემდებარებიდან და შეეერთებინათ ე. წ. ჩრდილო ოსეთისათვის, ე. ი. რუსეთის ფედერალურ საბჭოთა რესპუბლიკისათვის. საქმის გადადება არ უხდება და საოლქო საბჭოს აღმასკომმა კიდევაც გამოიტანა აღნიშნული დადგენილება, რომლის საფუძველზედაც თავი საქართველოდან გამოყოფილად და საკავშირო დაქვემდებარების რესპუბლიკად გამოაცხადა.

კეთილი ინებოს და თუნდაც იმავე „კომსომოლსკაია პრავდის" ფურცლებზე გვიპასუხოს ბატონმა ვალერი ჭალიძემ: არის თუ არა ეს ოსი ექსტრემისტების მიერ საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევა, საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა და მისი გადაცემის ცდა სხვა ქვეყნისათვის?

საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა საოლქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება, გააუქმა აგრე უკანონოდ შექმნილი ავტონომიური ოლქის სტატუსიც, აღუთქვა ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს კულტურული ავტონომიის ყველა პირობის შენარჩუნება და რადგანაც ოსი ექსტრემისტები შეიარაღებული წინააღმდეგობის გზას დაადგნენ, რაც აგრეთვე კანონსაწინააღმდეგო მოქმედება იყო, გაგზავნა იქ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ძალები, მათ შორის სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფებიც, რეგიონში სამოქალაქო მშვიდობიანობის აღსადგენად.

გაგვაგებინეთ, ხალხო, თუ ქვეყანა მართლაც ჩალით არ არის დახურული, სად არის აქ ფაშიზმი, „არიული უპირატესობა", რასობრივი სიძულვილი, ვისიმე სისხლის შემადგენლობაზე მსჯელობა? რაკი ენას ძვალი არა აქვს, განა შეიძლება, ცივილიზებულმა ადამიანებმა ამით ბოროტად ვისარგებლოთ და ყველაფერი წამოვროშოთ! სხვა დემოკრატიული პარლამენტი როგორ მოიქცეოდა, საქართველოს უზენაესი საბჭოს ადგილზე რომ ყოფილიყო? მორჩილად დათმობდა მამა-პაპის სისხლითა და ოფლით მორწყულ მშობელ მიწას, რათა ის უამისოდაც თვალუწვდენელ რუსეთს შეერთებოდა და რუსეთ-საქართველოს საზღვარს შიგ შუაგულ ქართლში გაეყვანა? სად არის ისეთი კანონი, იქნებ რუსეთში, რომელსაც საარსებო მიწით ღარიბი მეზობელი ქვეყნისათვის იარაღის ძალით წანაგლეჯი ორი თუ სამი უდაბური კუნძულის მისი კანონიერი პატრონისათვის დაბრუნება ენანება?

რა გზას უნდა დასდგომოდა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე და მასთან ერთად ბევრი სხვა საღად მოაზროვნე ქართველი მამულიშვილი, ვინც უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების თაობაზე მხარი უყოყმანოდ დაუჭირა, თავისი სამშობლოს სამართლიან ინტერესებს წინ აღდგომოდა, როგორც ვერმონტელი ვალერი ჭალიძე მოიქცა, და წყალი მტრის წისქვილზე მიეშვა? სინდისის დალაქავება და ხალხისათვის უკუღმართი მაგალითის მიცემა სწორედ მაშინ უნდა გვენახა!

ბატონ ვალერი ჭალიძეს, ეტყობა, დაავიწყდა, ანდა კონკრეტულ ვითარებაში განზრახ ივიწყებს, თუ რა ისტორიული აუცილებლობა იდო საფუძვლად რუსეთის მიწა-წყლიდან ოქროს ურდოს, კარლოს მეთორმეტის, ცრუ დიმიტრის, ნაპოლეონ ბონაპარტის და შემდეგ ჰიტლერის ურდოების გაძევებას. ნუთუ სამშობლოსათვის თავდადებული რუსი მამულიშვილები ფაშისტები იყვნენ, რაკი მონღოლებს, შვედებს, პოლონელებს, ფრანგებს, გერმანელებს თავიანთი ღვიძლი სამშობლოს მიწა-წყალი არ დაანებეს? მაშ, რაღა მარტოოდენ ქართველებს ეკრძალება თავისი რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, განა ის ოდესმე ვისთვისმე წაურთმევია? განა ოდესმე მართლა არსებობდა „სამხრეთ ოსეთი", რომელიც „პატარა იმპერიალისტმა" ქართველებმა დაიპყრეს?

ღმერთია მოწმე, ეს ომი საქართველოში არავის უნდა, არც ქართველებს და არც ოსებს. ის უნდათ ოს ექსტრემისტებს და იმათ, ვინც მათ ზურგსუკან დგანან, იარაღს აწვდიან და ყველა საშუალებით თავისი კაცთმოყვარეობის გამო დასჯილი ქართველი ხალხის დისკრიმინაციას ეწევიან. დღეს ცხინვალი მთლიანად დაცლილია ქართველებისაგან, დამწვარია ყველა მათგანის სახლი, აკლებულია ყველა ქართული სოფელი, დამწვარია ყველა ქართული სკოლა, შებილწულია ეკლესია-მონასტრები, უწყალოდ ინგრევა მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთაგან არც ერთი ოსი კაცის მარჯვენას არ უშენებია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დამპყრობლისაგან განსხვავებით ოსებს საქართველოდან არავინ აძევებს. მიუხედავად დაღვრილი სისხლისა, მათ მაინც მოუწოდებენ, იცხოვრონ დედა-საქართველოში, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ, იცხოვრონ ყველა სხვა ხალხთან ერთად, იცხოვრონ მშვიდობით და თანხმობით, გამრავლდნენ, დაწინაურდნენ, კიდევ უფრო ააყვავონ თავიანთი სულიერი და მატერიალური კულტურა!

„კომსომოლსკაია პრავდის" მთელ გვერდს გადაფოფრებული ბატონი ვალერი ჭალიძე ირონიული ღიმილით დასცინის აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს, რომელსაც გაუბედია და თავის ზემოთხსენებულ წერილში „სამხრეთ ოსების" კულტურულ პროფილზე სიტყვა დაუძრავს. დიდი ამბავი, თუ ქართველ ლინგვისტებს ოსური ენის თავისებურებათა შესწავლაში წვლილი მიუძღვით!

საქმე აქ ქართველ სწავლულთა მეცნიერული დამსახურების არად ჩაგდება როდია, საქმე ის გახლავთ, რომ ამ თავისი აგდებული განცხადებით, კულტურულ ოჯახში წესიერად აღზრდილ კაცს რომ არ უნდა ახასიათებდეს, ბატონი ვალერი ჭალიძე ხელს განზრახ აფარებს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ე. წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსთა კულტურულ მდგომარეობას, საკითხს, განიცდიან თუ არა ისინი ჩაგვრას ქართველების მხრივ კულტურის სფეროში.

რაკი მას არ სურს, რა გაეწყობა, მე შევეხები, რას უმალავს ჩვენი ვერმონტელი კეთილისმყოფელი საკავშირო და მსოფლიო მკითხველს.

იმ დროს, როდესაც საკუთრივ ოსეთში, სრულიად შეუსაბამოდ ჩრდილო ოსეთად რომ იწოდება, აღარც ერთი ოსური სკოლა აღარ მოქმედებს, თავი რომ დავანებოთ უმაღლეს სასწავლებლებს და სხვა ეროვნულ სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებებს, სადაც ოსური ენის მცოდნე პირები თვით ოსი ინტელიგენციის წრეებშიაც კი თითებზე ჩამოითვლებიან, „სამხრეთ ოსეთის" ყოფილი ავტონომიის ყოველი ბავშვი, თუკი ასეთია მათი მშობლების ნება, განათლებას ეროვნულ სკოლაში, მშობლიურ ოსურ ენაზე იღებს. ცხინვალში ოსურ ენაზე ფუნქციონირებს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებელი, მშობლიურ ენის ჩინებულად მცოდნე კადრების სამჭედლო. იქვეა შემოქმედებითი ორგანიზაციები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სადაც ყველა სხვა დარგის პრობლემებთან ერთად ოსი მეცნიერები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ხელიხელჩაკიდებული ოსური კულტურისა და ლიტერატურის ფუნდამენტურ საკითხებს იკვლევენ. გამომცემლობა უშვებს რამდენიმე გაზეთს და ჟურნალს ოსურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ცხინვალი განთქმულია თავისი ოსური სახელმწიფო თეატრით, ფილარმონიით და ფართოდ განშტოებული კულტურული დაწესებულებებით, რომელთა ქონასაც საბჭოთა კავშირის ბარე ორი ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკა ვერ დაიკვეხნის.

არა ღირს ეს ხსენებად? გულზე ხელი დავიდოთ და ვილაპარაკოთ: მოხდებოდა ეს ყოველივე, მთელი ქართველი ხალხის, მისი ინტელიგენციის, მისი მთავრობის კეთილი ნება რომ არ იყვეს? თუ მოხდებოდა, რატომ არ მოხდა რუსეთის ფედერაციაში, სადაც საკუთრივ ოსეთმა, ერთადერთმა ოსეთმა, ცისქვეშ რომ არსებობს, სრული ასიმილაცია, ეროვნული ფესვების სრული ამოძირკვა და სხვა კულტურულ არეალში გადანაცვლება განიცადა?

ნუთუ ამას უწოდებენ „კომსომოლსკაია პრავდა" და მის მიერ მიუდგომელ მსაჯულად მოწვეული ბატონი ვალერი ჭალიძე ფაშიზმს, ნაციზმს, საქართველოში ქართველთა „არიული უპირატესობის" დაუსჯელ პარპაშს, რის წინააღმდეგაც ხმას ისეთი პატივცემული პირებიც კი არ იმაღლებენ, როგორიც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძეა? თუ ეს ფაშიზმია, ნება გვიბოძეთ ვიკითხოთ, მაშ, ის რაღა არის, რაც ე. წ. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოსი მოსახლეობის მიმართ რუსეთის ფედერაციაში ხდება? ისე ხომ არ გამოვიდა, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო?

თუ ჩვენი ვერმონტელი კეთილისმყოფლის რჩევა-დარიგებასა და მოთხოვნას გავყვებით, ჭეშმარიტებად უნდა მივიჩნიოთ აზრი, რომლის თანახმადაც ქვეყანა მით უფრო დემოკრატიულია, რაც უფრო მეტ ავტონომიებად არის დაყოფილი.

ხომ არ შეწუხდება ბატონი ვალერი ჭალიძე და არ მიგვითითებს, სად ამოიკითხა ეს აქსიომა ქვეყნის დემოკრატიულობის მეტ-ნაკლებობის შესახებ?

რას გულისხმობს თვით ცნებაში „დემოკრატია"? ანდა ცნება „ავტონომია" როგორ უნდა განიმარტოს? ხომ არ დაგვისახელებს, რა და რა ავტონომიებისაგან შესდგება ისეთი კლასიკური დემოკრატიული ქვეყნები, როგორიცაა, მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, საბერძნეთი, პოლონეთი, ბელგია, დანია, შვეიცარია და ბევრი კიდევ სხვა?

თუ ვინიცობაა ვერ დაგვისახელებს და ეს არც იქნება გასაკვირი, რადგანაც მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს, მაშინ იქნებ ის მაინც აგვიხსნას, რატომ უნდა მივცეთ საქართველოში ავტონომია, ვთქვათ, ქუთაისს ან ფოთს, რასაც ის დაჟინებით გვირჩევს, პირზე ქაფმოდებული მოითხოვს, ვითომ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ადგილობრივი საკითხები ადგილობრივ გადაიჭრას, რათა ცენტრმა ნაკლებად იმტვრიოს თავი და „სისულელეები ნაკლებად დაუშვას"?

ვერ მოვუწონებ სწავლა-განათლებას ჩემს გაუცხოელებულ თანამემამულეს, თუმცა ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ უცხოეთის არა ერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში უსწავლია, ვერც ამ აბსურდის განსჯა-განხილვაში გავყვები. სახელმწიფოს შინაგანი ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი მას, ეტყობა, თავის უფროს მეგობარ აკადემიკოს ანდრეი სახაროვისაგან უსწავლია, მაგრამ ის კი ვეღარ უგულისხმია, რომ დიდი რუსი ჰუმანისტი სპეციალობით ფიზიკოსი ბრძანდებოდა, რუსული ატომური ბომბის მამა იყო და თუ სახელმწიფოს შინაგან სტრუქტურებში ისე ვერ ერკვეოდა, როგორც მათემატიკურ ფორმულებში, ამას მაინც და მაინც დიდ ცოდვად ვერავინ ჩაუთვლის.

მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, ბატონმა ანდრეი სახაროვმა თავისი მოსაზრებები მრავალეროვანი, ოდესღაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების ბაზაზე აგებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოს მიმართ, ისეთი სახელმწიფოს მიმართ გამოთქვა, რომლის ქვეშევრდომიც თავად იყო და არა ისეთი დემოკრატიული ქვეყნების მიმართ, როგორიც საფრანგეთი, გერმანია, იტალია ან ესპანეთია.

ბატონ ვალერი ჭალიძეს და მასთან ერთად გამეცადინებულ რედაქციასაც, როგორმე ტალახის გუნდა ესროლოს საქართველოს, დასანანი ლაფსუსი სწორედ აქ მოუვიდა, რადგანაც მრავალეროვანი სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურის სახაროვისეული სქემა ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ტიპის ქვეყნებზე გაავრცელა. ასე რომ არ მომხდარიყო, არამც და არამც არ დაწერდა, საქართველოს უზენაეს საბჭოს არამცთუ „სამხრეთ ოსებისათვის" არ უნდა ჩამოერთმია ავტონომია, იგი (ავტონომია) ქუთაისისთვის, ფოთისთვის და კიდევ სხვებისთვისაც უნდა მიეცაო.

ჩანს, ბატონ ჭალიძეს ავტონომია რეგიონალური მმართველობის ერთადერთი ფორმა ჰგონია და გარდა ეკონომიკური საჭიროებისა, რასაც ტერიტორიული დაყოფის სხვა ფორმებიც მშვენივრად ასრულებენ, მის შექმნის სხვა მოტივს და საფუძველს ვერ ხედავს. ამიტომაც აიგივებს ე. წ. სამხრეთ ოსების საკითხს აფხაზეთის საკითხთან და მკითხველს აუწყებს, ქართველი ნაცისტები აფხაზეთსაც იმავე უპირებდნენ, რასაც სამხრეთ ოსებს დამართესო. მერე, რა თუ ასე არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო! მთავარია შუღლის გაღვივება, ხალხის ხალხზე გადაკიდება. ამ მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი და საშუალება მისაღებია, თუკი ის საქართველოს, ქართველი ხალხის დასათრგუნავად გამოდგება!

ბატონ ვალერი ჭალიძის უფროსი მეგობარი და იდეური ხელმძღვანელი აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი საკითხის წიაღში უფრო ღრმად შეიჭრა და კიდევაც მართებდა შეჭრა. მან იმპერიის უზენაეს ხელისუფლებას წარუდგინა ვერსია, რომელსაც ამავე წერილში დიდი აღტაცებითა და მოწიწებით იმეორებს ბატონი ვალერი ჭალიძე: „მისცეს მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი ყოველ კომპაქტურად დასახლებულ ეროვნებას, ე. ი. ხელახლა გამოჭრას ქვეყნის რუკა ყოველგვარი ისტორიული და კონსტიტუციურად დაკანონებული სუვერენიტეტების გაუთვალისწინებლად".

როგორ შეეკადრო აკადემიკოს ანდრეი სახაროვის დიდებულ აჩრდილს, იმპერიალისტური აზროვნება ამაზე შორს ვერ წავა-მეთქი, ეს თავში თვით გრაფ ვიტესაც არ მოსვლია და არც სტოლიპინს-მეთქი.

ასე იქნება თუ ისე, სახაროვის უნივერსალური სქემის განხორციელებით რუსეთის იმპერია არაფერს კარგავს, მაგრამ სხვები? ვებერთელა იმპერიულ ქვაბში მოხვედრილმა დიდმა და მცირე ერებმა, განურჩევლად კულტურული მემკვიდრეობისა, რომელთაც თავიანთი ისტორიული წარსული უნდა დაივიწყონ და ერთადერთ უზენაეს ცენტრს დაექვემდებარონ, ცენტრს, რომელიც წესწყობილებას, რაღა თქმა უნდა, ველიკორუსთა ენაზე განახორციელებს, ისღა რჩებათ, თავიანთ ეროვნულ სახეზე ნებაყოფლობით უარი თქვან და ერთმანეთში უმოწყალოდ აითქვიფონ!

თქვენც აგრე უნდა ქნათ, თუ გინდათ, დემოკრატიას ეზიაროთ, გვიჩიჩინებს ჩვენი ვერმონტელი კეთილისმყოფელი, დროა მოეშვათ ყოყოჩობას და ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლას, რაღა დროს ეგ არის, ჭურში ზიხართ, შამაცხონებულებოო?

მე არ მინდა ამომწურავი შეფასება მივცე აკადემიკოს ანდრეი სახაროვის მიერ მოწოდებულ სქემას, რის მიხედვითაც მას რუსეთის კოლონიური იმპერიის მოწყობა სურდა და რომლის მიმდევარი დღესაც ბევრია, მარტო ჩვენი ვერმონტელი თანამემამულის გახსენება რად ღირს, მხოლოდ იმას ვიტყოდი, რომ ბატონ მიხეილ გორბაჩოვისა და კომპანიის მიერ შედგენილი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი ბევრად უფრო ჰუმანურია, ბევრად უფრო განმსჭვალულია ჰელსინკის სულით, ვიდრე სახაროვისეული მოძღვრება ამავე საკითხზე. ბევრად უფრო ჰუმანურია თუნდაც იმით, რომ გორბაჩოვის ხელიდან გამოსული პროექტი არ იჩენს სრულ განურჩევლობას ხალხების ისტორიული წარსულისა და უკვე არსებულ მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მიმართ. სხვა აზრთან მისი შეუსაბამობა მხოლოდ ისაა, რომ შეუთავსებელთა შეთავსებას ლამობს და ეს დაპირისპირებულთა ერთიანობის დიალექტიკური კანონი ჰგონია. ცხრა რესპუბლიკას, რომლებიც სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელს მოწერას მისაღებად თვლიან და, ამგვარად, კავშირის შემადგენლობაში რჩებიან, აღნიშნული ხელშეკრულება სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტის გარანტიას ჰპირდება და, ამავე დროს, მის შემადგენელ ავტონომიურ წარმონაქმნებს იურიდიულ სუბიექტებად აცხადებს.

თუ ღმერთი გწამთ, სად არის აქ ელემენტარული ლოგიკა? ყველა ასე ბლუჯდება და ლენინზედ როგორ მივაჩინოთ?! თუ მთელის ნაწილი ცენტრთან ამ მთელისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას დაამყარებს, სადღაა ამ მთელის, მოკავშირე რესპუბლიკის, ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი, ასე რომ სძულდა აკადემიკოს ანდრეი სახაროვს და ასე რომ სძულს რუსეთის გენერალიტეტს, სადღაა თავისუფლება, განახლება, რესპუბლიკის შინაურ საქმეში ჩაურევლობა? რას გვირჩევს ბატონი ვალერი ჭალიძე, საქმე ისე წავიყვანოთ, რომ ქუთაისი და ფოთიც კი იმპერიის ცენტრს, ძლევამოსილ მოსკოვს, საქართველოს მთავრობის გვერდის ავლით ექვემდებარებოდეს და თუ ამას არ ვიქმთ, უთუოდ ფაშისტებად გამოვცხადდებით?

ხალხთა საპყრობილე მთელი მსოფლიოს თვალწინ იშლება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის დაიშლება იმავე სახელმწიფოებად, რომელთაც ოდესღაც სახელმწიფოებრიობა წაართვა, რითაც, ლენინის გულგარე ნათქვამი სიტყვები რომ ვიხმაროთ, უდიდესი უსამართლობა და ბოროტება ჩაიდინა. მაგრამ მაინც და მაინც რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბოლშევიკურ მონობას თავდაღწეული, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ერები, ვთქვათ, ქართველები და ლიტველები, იმდენად გაბრიყვდებიან, რომ თავიანთი სუვერენული, პიროვნების თავისუფლებაზე დამყარებული სახელმწიფოების სახით აუცილებლად „განცალკევებულ საკნებს" ააშენებენ? მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრში მოკალათებული იმპერიული ძალები ასე ფიქრობენ?

მე, ამ სტრიქონების ავტორს, ვისაც ჯიბეში საბჭოთა კავშირის მოქალაქის „სერპასტი" პასპორტი მიდევს, ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ასე თუ ისე კიდევ მეპატიება, მოსკოვის მენტორული განცხადება ბაჯაღლო ოქროდ რომ მივიღო და ტაშით ხელისგულები გადავიყვლიფო, მაგრამ ვერმონტელ კაცს, ვინც საპყრობილეს თავი დიდი ხანია დააღწია, რა ძალა ადგია, ეს კი ვეღარ გამიგია. „კომსომოლსკაია პრავდას" მოჯამაგირედ დადგომას განა არ ჯობდა, თავის რანჩოში წასულიყო და საადრეო კომბოსტოსათვის მიწა შემოეთოხნა? „კომსომოლსკაია პრავდის" ფურცლებზე ნაქადაგებმა „მიუდგომელმა სიმართლემ" სხვას რა ხეირი დააყარა, ცხრა მთას იქით გადახვეწილ ნაქართველარ კაცს რომ დააყაროს!

რევაზ ჯაფარიძე.

ღია წერილი

ბატონ თ. გუდავას „დასავლეთის დემოკრატიას რომ ეზიარა" და ახლა ქართველი ემიგრანტის თვალით უყურებს საქართველოს

ბატონო გუდავა!

დავიწყებ ჩემს წერილს იმით, რომ ახლავე და პირდაპირ გეტყვით: თქვენი სტატია „დამოუკიდებლობა სრულწლოვანებამდე", ალბათ, გათვალისწინებული იყო არა ქართველი მკითხველისათვის, — ეს მაშინვე თვალში საცემია, — არამედ ფართო აუდიტორიისათვის სსრ კავშირში და მის ფარგლებს გარეთ. თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა მას საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი ახლანდელი ხელმძღვანელობის შესახებ ნეგატიური „იმიჯის" შექმნის საქმეში, იქიდან ჩანს, რომ სტატია ორჯერ დაიბეჭდა და გადაიბეჭდა ცენტრალური პრესის ერთი გვერდიდან მეორეზე და, ვფიქრობ, კიდევ არაერთხელ გამოიყენებენ მას ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი თავიანთი ბინძური პროპაგანდისათვის. ფაქტი ერთია: დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება იმდენად მჭიდროდ შეეკრა ცენტრალურ საბჭოურ პრესას, ისინი ისე შეხმატკბილებულად გამოდიან ჩვენი საერთო სამშობლოს წინააღმდეგ, რომ ხშირად ძნელი გასაგებია, რომელს ვკითხულობთ — დასავლურ თუ საბჭოურ პრესას, რომელს ვუყურებთ — დასავლეთის ტელევიზიის თუ სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამას.

ის, რომ არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი დაინტერესებული არ არის „ისტორიულად განწირული საბჭოთა კავშირის" დაშლით, არაერთგზის გვსმენია ყველაზე მაღალი თანამდებობის ადამიანთაგან „იქაც" და „აქაც". საოცარი სხვა რამ არის: დასავლეთს, რომელიც ასე ამაყობს თავისი დემოკრატიით და რომელსაც სურს თავისუფლებისმოყვარეობის მაღალი იდეების მატარებლის საპატიო ჰქონდეს გავარდნილი, ასე ადვილად შეუძლია ზურგი შეაქციოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებსაც ოდესღაც სწორედ ამისათვის მოუწოდებდა. დასავლეთის ქვეყნებს ზოგიერთ ხელმძღვანელს არ ძალუძს ეს პირდაპირ განაცხადოს, ამიტომ მათ მიმართეს სსრ კავშირის თავისუფლებისმოყვარე რესპუბლიკების დისკრედიტაციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეოხებით. თქვენ, ბატონო გუდავა, ამ ეშმაკური ალიანსის ერთ-ერთი აღმსრულებელი ბრძანდებით, ალიანსისა, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის იმპერიის შენარჩუნებას განახლებული სახით: უსაბჭოებოდ, საბაზრო ეკონომიკით, დასავლური დემოკრატიითა და თავისუფალი სამყაროს სხვა ატრიბუტებით. ცრუობთ, როცა ლანძღვა-გინებით იკლებთ საბჭოთა ხელისუფლებას. თქვენ რომ ამას გულწრფელად აკეთებდეთ და საჭირო მისამართით, სტატიას არ დაგიბეჭდავდნენ იმ ორგანოებში, რომლებშიც დაიბეჭდა. მათ სჭირდებათ სიყალბე — და თქვენც აძლევთ. აი, მაგალითად, თქვენ წერთ, თითქოს „შარშან 11-12 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ რესპუბლიკა ჩაბა გაჭიანურებულ და მომქანცველ კონფლიქტში..."

(გაგრძელება მე-4 გვ.).

ღია წერილი

(დასასრული).

თქვენ თავი ისე მოგაქვთ, თითქოს არ იცოდეთ, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო ოსთა მხრივ სამაჩაბლოს (სწორედ ასე უნდა უწოდებდეთ საქართველოს ამ ისტორიულ ოლქს და არა საბჭოურად) რესპუბლიკად გამოცხადებასთან და შემდგომ რუსეთთან მის შეერთებასთან დაკავშირებით. თქვენ გგონიათ, რომ სამაჩაბლოს 60-ათასიანი ოსი მოსახლეობა დათანხმდებოდა ამას, ექსტრემისტულ ძალებს მოსკოვის მხარდაჭერის იმედი რომ არ ჰქონდეთ? ან იქნებ გინდათ თქვათ, რომ საქართველოს მთავრობის რეაგირება მშვიდი უნდა ყოფილიყო მოვლენათა ასეთი განვითარების მოლოდინში? არა, ქართველთა მხარეს არ მიუცია „კოზირი" კრემლისათვის, იგი მოსკოვმა და ჩრდილოეთ ოსეთმა გაითამაშეს, რომლებმაც თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ესოდენ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს საქართველოს ოსი მოსახლეობა. თქვენ, ბატონო გუდავა, შეძლებთ თუ არა მოიყვანოთ თუნდაც ერთი მაგალითი იმისა, რომ რომელიმე ერს ასე ადვილად დაეთმოს თავისი ტერიტორია?

აქ არ აპირებენ ნამდვილ ბატონ-პატრონებს დაუბრუნონ ომით დაპყრობილი სხვისი მიწები, საქართველოს ხომ არასოდეს წაურთმევია სამაჩაბლო არც ოსებისათვის, არც რუსებისათვის? გაუგებარია სხვა რამეც: ასე რატომ „ზრუნავენ" დასავლეთი და ცენტრი საქართველოს ოსი მოსახლეობისათვის, როცა მოითხოვენ მათთვის განსაკუთრებულ უფლებებს, ავტონომიის შექმნას, რუსეთთან შეერთებას? საქართველოში ხომ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც ცხოვრობენ და მეტი რაოდენობითაც, ვიდრე ოსები. ხომ შეიძლება ისინიც „გაგვინაწყენდნენ", თუმცა მათი უფლებები მთლიანად გარანტირებულია, ხოლო ცხოვრების დონის მხრივ მკვიდრ მოსახლეობაზე უარესად არ ცხოვრობენ?

სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში გარკვეული როლი, როგორც თქვენ ამბობთ, შეასრულა მმართველი ბლოკის „მრგვალი მაგიდის" და მისი ლიდერის ზვიად გამსახურდიას ნაციონალისტური ექსტრემიზმის რეფლექსმა". თქვენი აზრით, ტერიტორიის მთლიანობის დაცვა ნაციონალისტური ექსტრემიზმის გამოვლინება ყოფილა? ასეთ შემთხვევაში, მაინტერესებს, რას უწოდებდით თქვენ ინგლისის ომს მალვინის კუნძულების შენარჩუნებისათვის, რომლებიც, სხვათა შორის, ასე შორს არის ინგლისიდან? რას უწოდებდით ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას შორს თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, როცა საქმე ეხება მის „საარსებო ინტერესებს"? შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, თუ როგორ იბრძვიან დასავლეთის დემოკრატები თავიანთი ტერიტორიების მთლიანობის შენარჩუნებისათვის ან თავიანთი ინტერესების დასაცავად. როგორც ჩანს, საქართველოსა და სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც განთავისუფლების გზას დაადგნენ, თქვენ სხვა საზომი გაქვთ.

„საინტერესო" აზრმა გაგიელვათ დემოკრატიულ ქვეყნებში ეროვნებათშორისი კონფლიქტების გადაწყვეტის ხერხების გამო. კიდევ კარგი, რომ არ დაწერეთ „დემოკრატიის ქვეყნებში", (როგორც უწოდებდნენ ჩვენში ოდესღაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს). ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს არა ეროვნებათშორისი კონფლიქტები, არამედ ეთნიკურ საფუძველზე პროვოკაციულად გამოწვეული პოლიტიკური ბრძოლა.

მეორე, მოწოდება, ველოდოთ და ვიყოთ კოლონიურ დამოკიდებულებაში სანამ საქართველო არ გამდიდრდება, არა თუ ეთიკური არ არის, რეაქციულია, რამეთუ იწვევს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ლიკვიდაციას.

მესამე, ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა „თავისთავად" განმუხტავს ეროვნებათშორის დაძაბულობას? თქვენ გინდათ თქვათ, რომ ინგლისი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანაა, რადგან მშვიდობიანი საშუალებებით ვერ გადაუწყვეტია ოლსტერის კონფლიქტი? ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში—ამ აყვავებულ ქვეყანაში თითქოს არ აზვირთებულიყოს ზანგთა მღელვარებანი? აბა, გაიხსენეთ, როგორ იღვწოდა ალჟირი, რომ საფრანგეთს მიეცა მისთვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა? თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ არა ეროვნებათშორისი კონფლიქტები ამა თუ იმ ქვეყანაში, არამედ ომების არარსებობა დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის. მაგრამ მათ ხომ ჯერ თავისუფლებას მიაღწიეს, მათი საზღვრები ხომ დიდი ხანია დადგენილია და გარანტირებული. მათ არავინ ემუქრება არც ტერიტორიის დაპყრობით, არც სუვერენიტეტის წართმევით, არც კოლონიზაციით.

თქვენ, როგორც ქართველს, უნდა გაგეხარებოდათ, რომ საქართველო და იქ მოსახლე მთელი ხალხი, მათ შორის ოსებიც, დაადგა განთავისუფლების გზას, რამაც კეთილდღეობა უნდა მოგვიტანოს. თქვენ კი ეს რატომღაც გწყინთ. თუ დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტისათვის მას უკვე უნდა ჰქონდეს ეს, რათა დაიცვას თავი გარედან ხელყოფისაგან?

არა, თქვენ აშკარად არ გსურთ თავისუფლება საქართველოსათვის! შემდეგ, თქვენ წერთ, რომ „ოპოზიცია მოკლებულია შესაძლებლობას გამოდიოდეს ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მაგრამ თქვენ ხომ სწორედ ქართულ წყაროებში (პრესა და ტელევიზია) კითხულობთ ამ „ოპონენტთა" საჩივრებს? და თქვენი სტატიაც (თქვენ კი „ოპონენტი" ბრძანდებით!) მე საქართველოში წავიკითხე, სადაც ცენტრალური და უცხოური პრესა აკრძალული არ არის და თავისუფლად იყიდება კიოსკებში. ახლანდელი ხელმძღვანელობის დროს ფართოდ გავრცელდა კაბელური და კოსმოსური ტელევიზია და ჩვენ თავისუფლად ვუყურებთ ანტიქართულ კამპანიას ლენინგრადიდან, მოსკოვიდან, მიუნხენიდან და სხვ.

რატომ ატყუებთ თქვენს უმეცარ მკითხველებს, თითქოს საქართველოში მოქმედებდეს კანონი საგანგებო წესების შესახებ, აკრძალული იყოს სხვადასხვა პარტიის პოლიტიკური გამოსვლები და საქმიანობა?

აი, თქვენ ბრალად სდებთ საქართველოს ხელმძღვანელობას, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტსა და პროკურატურაში თანამდებობებზე დარჩა ზოგიერთი წინანდელი პირი. თქვენ, როგორც ჩანს, გინდათ, რომ იყოს ისე, როგორც 17 წელს: ყველა „წინანდელი" მოხსნან და მოსპონ. წარმომიდგენია, როგორ აღრიალდებოდა თავისუფალი სამყარო, საქართველოში ასე რომ მომხდარიყო! თქვენი წყენა ჩემთვის გასაგებია, —თავად მეც ხომ ოდესღაც დავზარალდი. მაგრამ, თქვენგან განსხვავებით, ვიცი ვისი გამოისობით: ეს არც სავლეა და არც პავლე, ეს საბჭოთა ხელისუფლებაა. ამიტომ, თქვენსავით მეც არ მჯერა ადამიანთა სასწაულებრივი გარდაქმნა, განსაკუთრებით იმათი, ვინც ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს ძველი ხელისუფლება. თქვენ კი მათ შესახებ კრინტსაც არა ძრავთ!

დიახ, მართლაც რესპუბლიკები არიან „უბადრუკი და მახინჯი", „ამორფულნი და დაუმთავრებელნი", „წაშლილი ლაქები". ეს თქვენი ნახმარი ეპითეტებია და ისინი სამართლიანია.

მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, რატომ ხართ განწყობილი ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, რომელმაც ადამიანები უნდა გადააქციოს „უბადრუკიდან" სრულფასოვნად, მონებიდან — თავიანთი მამულის ბატონ-პატრონად, „ამორფულიდან" — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის აქტიურ მებრძოლებად.

თქვენი „იდეების" დასადასტურებლად მიმართავთ ფაქტების ფალსიფიკაციასა და დემაგოგიას.

თუ ვიხელმძღვანელებთ იმ მეთოდებით, რომლებზეც თქვენ წერთ, ვერასოდეს ვერ ვიხილავთ საქართველოს თავისუფალსა და დამოუკიდებელს!

განა მებრძოლ კოლონიურ ქვეყანაში (იმას, რომ საქართველო კოლონიური ქვეყანაა, თქვენ არ უარყოფთ) ხალხებს „ერთმანეთის პოზიციების" გარკვევის გარდა, არაფერი ესაქმებათ? განა ისინი, უთვალავ პარტიებად და „საზოგადოებებად დაყოფილნი, „უნაყოფო დიალოგებსა" და კონტაქტებს უნდა ეწეოდნენ, თითქოს უკვე მიეღწიოთ ამ დამოუკიდებლობისათვის და ახლა მხოლოდ „თავისუფალი" სამშობლოს კეთილმოწყობაღა დარჩენოდეთ? არა, პატივცემულო მეტრ, კოლონიურ ქვეყანას თავის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში წარმატების მიღწევა შეუძლია მხოლოდ ყველა თავისი მოქალაქის ერთობით, მთელი ფიზიკური და სულიერი ძალების ერთიანობით, და მხოლოდ ამ თავისუფლების მოპოვების შემდეგ შეუძლია იფიქროს თავისი საზოგადოების დემოკრატიულ სრულყოფაზე. თქვენ ირონიულად ლაპარაკობთ საქართველოში ეროვნული გვარდიის შექმნაზე, მაგრამ მე კვლავ გეკითხებით: კოლონიური ქვეყანა იწყებს არმიის შექმნას დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ? თქვენ გსურთ, რომ ჩაგვახშოთ ჯერ კიდევ „არასრულწლოვანების" ასაკში და საქართველო უნებლიედ არ გადაიქცეს ფაშისტურ სახელმწიფოდ. რა „კეთილი" (მე ვიტყოდი ანტიფაშისტური) ზრახვებით გსურთ განაწყოთ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, რომელმაც გაბედა ხმა ამოეღო თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე? და რომ დაგამშვიდოთ თქვენ, ამასთანავე ზოგიერთი თქვენი გულუბრყვილო და მიმნდობი მკითხველი, მინდა ბოლოს გკითხოთ: სად და როდის გამხდარა კოლონიური ქვეყანა ფაშისტური სახელმწიფო? და საერთოდ შეიძლება თუ არა მოხდეს ასეთი რამ ეკონომიკური თვალსაზრისით „მოუწყობელ" ქვეყანაში?

გ. შენგელია.
საქინფორმი

ნიკო მუსხელიშვილი—100

ყველაფერი მისი სულითაა განმსჭვალული

ამ ბინა-მუზეუმსაც საიუბილეო წელი უდგას, ოღონდ ათჯერ უმცროსია სახელგანთქმულ სწავლულზე, ვის სახელსაც ატარებს. ამ ბინაში ნიკო მუსხელიშვილი მთელი 35 წელი ცხოვრობდა. მისამართი მრავალმა თბილისელმა იცის — ილია ჭავჭავაძის გამზირი, 19. აქ დაიწყო 1981 წელს მუზეუმის ბიოგრაფიაც.

მესამე სართულზე ავდივარ, კარი უკვე ღიაა და შესასვლელში ბატონი ნიკოს შვილიშვილები ოლღა და მარინე მეგებებიან, სიმპათიური ახალგაზრდა ქალბატონები; ორივე მკვლევარია — ერთი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, მეორე — მათემატიკოსი. აქ თითქოს პროფესიული მემკვიდრეობითობა გამოდის, ბაბუიდან (შემდგომ ჩემთან საუბრისას, ისინი მას „ბაბუკად" მოიხსენიებდნენ და ამ სიტყვას განსაკუთრებული სითბოთი, იმავე დროს თითქოს ასომთავრულით წარმოთქვამდნენ) და მამიდან, (ცნობილი ფიზიკოსიდან, მეცნიერებათა დოქტორიდან გურამ მუსხელიშვილიდან გადმოყოლილი. რაოდენ სამწუხაროა, რომ ბატონი გურამი უდროოდ წავიდა ცხოვრებიდან, ამასთანავე ორიოდე თვე დააკლდა დიდი მამის საიუბილეო ზეიმობამდე...

მუზეუმი ოროთახიანია. პირველი, მომცრო, წარმოადგენდა ბატონ ნიკოს საწოლ ოთახს, მეორე — სამუშაო კაბინეტს. პატარა ოთახის შუაში კონტა ოვალური მაგიდა დგას, კედლებზე ოჯახური ფოტოსურათები ჰკიდია. ერთ-ერთ მათგანზე ივანე მუსხელიშვილის ოჯახია გამოსახული. ოჯახის უფროსი სამხედრო მუნდირშია გამოწყობილი, გვერდით მეუღლე დარია საგინაშვილი უზის, მშობლებთან სამი პატარა ბავშვია — ნიკო, ალექსანდრე და მარგალიტა. სხვა სურათებზე ნიკო ნიკოლაძის ოჯახია გადაღებული (მის უმცროს ქალიშვილთან თამართან იყო პირველი ქორწინებით შეუღლებული ბატონი ნიკო). კუთხეში ნიკო მუსხელიშვილის მინიატურული ძეგლი დგას — იმ დიდი ძეგლის მსგავსი, რომელიც სახლიდან ცოტა მოშორებით აღმართულა, ი. ჭავჭავაძის გამზირზევე.

დიდ ოთახში ფართო ტახტი, მრგვალი მაგიდა და ძველებური სავარძლები. კიდევ — მასიური საწერი მაგიდა, რომელიც ისტორიულად იქცა: მასზე დაიწერა ნ. მუსხელიშვილის უკვდავი მათემატიკური ქმნილებები. კედლებზე — სტელაჟებია როგორც სპეციალური, ისე მხატვრული ლიტერატურით; და ისევ ფოტოსურათები, რომლებზეც გამოჩენილ მეცნიერთა მთელი თანავარსკვლავედი განლაგებულა (თვით ნ. მუსხელიშვილის გარდა ვიქტორ ამბარცუმიანი, ილია ვეკუა, მსტისლავ კელდიში, გიორგი ნიკოლაძე, მიხეილ პოლიევქტოვი, ანდრია რაზმაძე, არჩილ ხარაძე...).

ჩემი თხოვნით მარინემ ნ. მუსხელიშვილის კლასიკური მონოგრაფიის „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანის" დიდებული ინგლისური გამოცემა ჩამოიღო. თავაზიანმა მასპინძლებმა ერთი ადგილი მითარგმნეს პროფესორ ჯ. რადოკის წინასიტყვაობიდან: „დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველი გაიზიარებს ჩემს აღფრთოვანებას, წიგნის მდიდრული შინაარსითა და მასალის ოსტატური გადმოცემით გამოწვეულსო".

აგერ ნიკო მუსხელიშვილისათვის მირთმეული საჩუქრების მაგიდაც: აკადემიკოს მიხეილ ლავრენტიევისაგან — საცდელი პოლიგონის მაკეტი წარწერით: „ბოლო 50 წლის განმავლობაში სხვადასხვა მეცნიერული პრობლემის არაერთგზის განხილვის მოსაგონარად" (დათარიღებულია 1971 წლით!); ქართველი მთამსვლელებისაგან — ნიკო მუსხელიშვილის სახელით მონათლული კავკასიონის ერთი ლამაზი მწვერვალის (3428 მ.) მაკეტი; ორი მეშახტის ფანარი დონეცკიდან — უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის ინსტიტუტიდან და ჰიდროდინამიკის ინსტიტუტიდან (კიდევ კარგი, რომ ფანრები ერთნაირი არ აღმოჩნდა...). კიდევ ერთი მაგიდა-გამოფენა: ველოსიპედისა და მოტორების მართვის მოწმობა (1904 წელი, როცა ნიკო 13 წლის ყმაწვილია!); ტფილისის სააზნაურო სადეპუტატო საკრებულოს მიერ 1909 წელს ნიკოლოზ ივანეს ძე მუსხელიშვილზე გაცემული აზნაურობის სიგელი; მიხეილ ლომონოსოვის ოქროს მედალი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო; სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი; „მოდესტო პანეტის" (იტალია) ოქროს მედალი.

შვილიშვილები იგონებდნენ, თუ როგორ უყვარდა ნიკო მუსხელიშვილს მწერლობიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნიკოლოზ გოგოლი, ლევ ტოლსტოი, არტურ კონანდოილი, ჟორჟ სიმენონი...

ოლღამ ისიც გაიხსენა, თუ რა ოსტატურად იყო დაუფლებული ბაბუკა... სადურგლო საქმეს. თურმე მარტო შესანიშნავი მათემატიკური წიგნები კი არ გამოსდიოდა მას ხელიდან, არამედ არაჩვეულებრივი აკურატულობითა და სიმარჯვით ნაკეთები ტაბურეტები, სკამები, მაგიდები (სათამაშოც და ნამდვილიც), თოჯინების სახლი გადასახსნელი სახურავით (!). თოჯინური საწოლი, პაწაწინა ორთვალა... (მაპატიოს ბატონი ნიკოს აჩრდილმა, თუ ერთმა მკრეხელურმა აზრმა გამიელვა: ახლა რომ ცოცხალი იყოს, თავისებურად იხუმრებდა — ერთი კოოპერატივი მეც ხომ არ გამეხსნაო...).

...ვტოვებდი ბინა-მუზეუმს და ჩემთვის ვამბობდი: როგორ ვცდებოდი, როცა ვფიქრობდი, რომ ამ არაჩვეულებრივ ადამიანზე ბევრი რამ ვიცი-მეთქი...

თამაზ ებანოიძე

საიუბილეოდ გამოიცა

1922 წელს ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ნაშრომი „კოშის ტიპის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოსახსნელად". ეს გახლდათ ახალგაზრდა სწავლულის ნიკო მუსხელიშვილის პირველი მონოგრაფია. 30-იან და 40-იან წლებში გამოქვეყნდა ნ. მუსხელიშვილის ფუნდამენტური წიგნები დრეკადობის თეორიასა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებში, რომლებიც, შემდგომ არაერთგზის გამოვიდა სსრ კავშირსა და უცხოეთში და რომლებმაც ავტორს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფია „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები" 1982 წელს ქართულ ენაზეც დაისტამბა.

ჩვენი გამოჩენილი მათემატიკოსისა და მექანიკოსის 100 წლისთავისათვის გამომცემლობა „მეცნიერებამ" ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ილია ვეკუას წიგნი „აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი. მოკლე ბიოგრაფია და მეცნიერული შრომების მიმოხილვა" (მეორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა). ქართულ ენაზე გამოქვეყნდა წერილის დასაწყისში მოხსენიებული მონოგრაფია, რომელიც ფრანგულიდან ხვედრი ინასარიძემ თარგმნა. ინგლისურ ენაზე გამოვიდა გიორგი მანჯავიძისა და ბორის ხვედელიძის ბროშურა „აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა". გამომცემლობა „ცოდნა" ქართულ ენაზე უშვებს კრებულს „მოგონებანი ნიკო მუსხელიშვილზე". რომელიც თამაზ ებანოიძემ და ვახტანგ პარკაძემ შეადგინეს.

დიდი მეცნიერი

ამ დღეებში, საქართველო ფართოდ აღნიშნავს ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერის, მეცნიერების დიდი ორგანიზატორის და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის დაბადების ასი წლისთავს.

ნიკო მუსხელიშვილი თბილისის მეორე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1909 წელს შევიდა და 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. იქვე დაიწყო ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა მექანიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის — დრეკადობის ბრტყელი ამოცანების შესწავლაში. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელმა და მის მომავალზე მზრუნველმა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა 1920 წელს პროფესორი ნიკო მუსხელიშვილი თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ მიიწვია.

აქედან დაწყებული აკადემიკოსმა ნიკო მუსხელიშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, შესანიშნავი ნიჭი ეროვნული მეცნიერების განვითარებას მოახმარა და სახელი დაიმკვიდრა იმ სახელმოხვეჭილ ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც უდიდესი სამსახური გაუწიეს მშობელ ხალხს და შორს გაიტანეს მისი სახელი.

აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერია, რომელმაც თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით გაამდიდრა მათემატიკისა და მექანიკის მრავალი დარგი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალგაზრდა ნიკო მუსხელიშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დრეკადობის ამოცანების შესწავლით დაიწყო. ხაზი მინდა გავუსვა, რომ დრეკადობის პრობლემების შესწავლა ტექნიკური პროგრესის საწინდარი და მისი თეორიული საფუძველია. ნიკო მუსხელიშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ ამ ურთულესი და მრავალმხრივი პროცესების შესწავლისათვის მან ადეკვატური მათემატიკური მეთოდები შექმნა. ეს მეთოდები თავიანთი შესაძლებლობებით ბევრად ზოგადი გამოდგნენ, ვიდრე ამას დრეკადობის ამოცანების შესწავლა მოითხოვდა და ფართო გამოყენება ჰპოვეს მათემატიკის სხვადასხვა კლასიკურ დარგებში. ამ მეთოდების და მათი შემდგომი განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა მათემატიკაში კვლევის ახალი მიმართულება — სინგულარულ-ინტეგრალურ განტოლებათა თეორია.

60-იან წლებში ფარდობითობის თეორიისა და მატერიის ტალღური თვისებების შერწყმის საფუძველზე ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში მიკროსამყაროს კანონზომიერებათა აღწერისათვის მიღებულ იქნა განტოლებები. მეცნიერების ამ თანამედროვე დარგში მომუშავე ფიზიკოსებისათვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, რომ ეს განტოლებები თავისი ტიპით წარმოადგენდნენ სინგულარულ-ინტეგრალურ განტოლებებს, რომელთა თეორია ორმოციან წლებში დამუშავებული იყო აკადემიკოსების ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუასა და მათი მოწაფეების მიერ.

შემაჯამებელი შრომები დრეკადობის თეორიაში — მონოგრაფია „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა" ნიკო მუსხელიშვილმა პირველად 1933 წელს გამოაქვეყნა, ხოლო მონოგრაფია „სინგულარული ინტეგრალური განტოლებები" გამოქვეყნდა 1946 წელს. ეს ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებიც შემდგომში მრავალჯერ გამოიცა, შეიცავენ აკადემიკოს მუსხელიშვილისა და მისი მოწაფეების კვლევის შედეგებს და სამაგიდო წიგნებადაა აღიარებული მათემატიკასა და მექანიკაში.

აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული მათემატიკური სკოლის შექმნა. ამ სკოლის ბევრი ბრწყინვალე წარმომადგენელი ფართოდ არის ცნობილი მათემატიკოსთა ფართო საზოგადოებისათვის.

დიდია აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის ღვაწლი საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარებასა და სამეცნიერო კერების შექმნასა და დაფუძნებაში. მის ლექციებზე მათემატიკის სხვადასხვა დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტექნიკურ უნივერსიტეტში მრავალი მეცნიერი და სპეციალისტი აღიზარდა. უნიკალურია თავისი შინაარსით და მასალის მოწოდებით მისი კლასიკური სახელმძღვანელო ანალიზურ გეომეტრიაში.

აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობის დაგვირგვინებაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ინსტიტუტების, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებისა და საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალის ბაზაზე 1941 წლის 10 თებერვალს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომლის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი. აკადემიისათვის საიუბილეო წელს, ბატონ ნიკოს დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო დღეს ჩვენ უღრმესი პატივისცემით ვიხსენებთ აკადემიის წევრთა პირველ შემადგენლობას, რომლებმაც აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილთან ერთად, საფუძველი ჩაუყარეს ამ უდიდეს სამეცნიერო კერას. ესენი გახლავან აკადემიკოსები: გიორგი ახვლედიანი (ენათმეცნიერება), ივანე ბერიტაშვილი (ფიზიოლოგია), კირიაკ ზავრიევი (სამშენებლო მექანიკა), ფილიპე ზაიცევი (ზოოლოგია), ალექსანდრე თვალჭრელიძე (მინერალოგია, პეტროლოგია), ტარასი კვარაცხელია (სუბტროპიკული კულტურები), კორნელი კეკელიძე (ფილოლოგია), ნიკოლოზ კეცხოველი (ბოტანიკა), ნიკოლოზ მუსხელიშვილი (მათემატიკა, მექანიკა), დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია), აკაკი შანიძე (ენათმეცნიერება), გიორგი ჩუბინაშვილი (ხელოვნებათმცოდნეობა), არნოლდ ჩიქობავა (ენათმეცნიერება), გიორგი ხაჭაპურიძე (ისტორია), სიმონ ჯანაშია (ისტორია), ალექსანდრე ჯანელიძე (გეოლოგია).

30 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ბატონი ნიკო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა როგორც უმაღლესი ავტორიტეტის მქონე სამეცნიერო კერა, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ჩვენი ერის კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში.

დღეს, მთელი საქართველო ფართოდ აღნიშნავს თავისი სახელოვანი შვილის ბატონ ნიკოს იუბილეს. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში ტარდება „უწყვეტ ტანთა მექანიკისა და ანალიზის მონათესავე საკითხებისადმი" მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. მასში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მეცნიერები, რომელთაგანაც ბევრი პირადად იცნობდა ბატონ ნიკოს. შეხვედრები, დისკუსიები სტუმრად ჩამოსულ მეცნიერებთან კიდევ უფრო განამტკიცებენ ქართველი მეცნიერების კავშირს მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო ცენტრებთან, რომელსაც მყარი საფუძველი ჩაუყარა ბატონმა ნიკომ, როგორც მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა და ჰუმანისტმა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი ა. თავხელიძე.

საზღვარგარეთ

შევარდნაძის პრესკონფერენცია

პარიზის სასტუმრო „ლუტეციაში" საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ გამართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მისი წიგნის „ჩემი არჩევანის" პრეზენტაციას. იგი ფრანგულ ენაზე გამოდის. პრესკონფერენციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ბატონმა შევარდნაძემ მრავალ შეკითხვას უპასუხა, მათ შორის საქართველოზე, ბალტიისპირეთზე და სომხეთზე.

გაზეთ „მონდის" კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორ აფასებს იგი საქართველოში გამართულ პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს, შევარდნაძემ უპასუხა, რომ ყოველ რესპუბლიკას აქვს კონსტიტუციური უფლება გამოეყოს საბჭოთა კავშირს და დამოუკიდებლად იარსებოს, ამ სურვილის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება შედეგს ვერ მოიტანს, პირიქით, იგი კიდევ უფრო დაძაბავსო ვითარებას. ქართველმა ხალხმა თავის პრეზიდენტად გამსახურდია აირჩია ჩემს სიმპათია-ანტიპათიას ამ პიროვნების მიმართ მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ქართველი ხალხის ნებას. შევარდნაძემ დაგმო ლიტვის დედაქალაქში ტანკების შეყვანა. მან აღნიშნა, რომ გამოყოფის მომხრე რესპუბლიკების ხელისუფლებასთან ცენტრმა უმაღლესი დონის მოლაპარაკებანი უნდა გამართოს. ყარაბაღის საკითხის გადასაწყვეტად შევარდნაძემ მიზანშეწონილად ჩათვალა გაეროს შუამავლობა.

შევარდნაძემ დასძინა, ჯერჯერობით კომუნისტური პარტიის წევრი ვარ, მაგრამ თუ პარტიამ გარდაქმნის კურსი შეანელა, მის რიგებში შემდგომ ყოფნაზე ვიფიქრებო.

პრესკონფერენციაზე შევარდნაძემ რამდენჯერმე გამოიყენა გამოთქმა „ჩემი დიადი ქვეყანა", თუმცა იგი ისე ენერგიულად აღარ აიგივებდა თავის თავს საბჭოთა იმპერიასთან. მან იმედი გამოთქვა, რომ მის წიგნს „ჩემი არჩევანი" მომავალში საბჭოთა მკითხველებიც გაეცნობიან, ხოლო შემოსავალს თავისსავე დაარსებულ საგარეო ურთიერთობათა ასოციაციას მოახმარს.

ელცინი არ თმობს პოზიციებს

მოსკოვი, 3 ივნისი. (საქინფორმის კორ. დევი ბერძენიშვილი). გასულ შაბათს კინოთეატრ „ოქტიაბრის" დარბაზში რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატი ბორის ელცინი შეხვდა სსრ კავშირის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. მან ჩამოაყალიბა თავისი წინასაარჩევნო პლატფორმა, უპასუხა მრავალრიცხოვან კითხვებს.

კერძოდ, ლაპარაკი იყო პრობლემებზე, რომელთა გამო კვლავ უთანხმოებანია ცენტრსა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის. ბორის ელცინის აზრით, ასეთი უთანხმოება ხუთია: ჯერ ერთი, ცენტრი არ ეთანხმება იმას, რომ დაბეგვრა რუსეთში მხოლოდ რესპუბლიკის ხაზინის სასარგებლოდ ხდებოდეს. მეორე, საკავშირო მთავრობა ისწრაფვის შეინარჩუნოს ნავთობისა და გაზის მრეწველობის მართვა რუსეთის ტერიტორიაზე. მესამე, ძნელდება შეთანხმება რესპუბლიკასა და კავშირს შორის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე. შემდეგი პრობლემაა: ცენტრს არ სურს რუსეთში არსებული თავდაცვის სამინისტროს საწარმოები გადასცეს რესპუბლიკის იურისდიქციაში. და, ბოლოს, მეხუთე: საკავშირო მთავრობა ცდილობს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ეროვნული რესპუბლიკების გული მოიგოს.

კითხვაზე, რას იზამს ბორის ელცინი, თუ იგი წააგებს არჩევნებში, პრეზიდენტობის კანდიდატმა უპასუხა, რომ არ მიატოვებს პოლიტიკურ საქმიანობას. „მე როგორღაც ვთქვი, დამარცხების შემთხვევაში წავალ და ბოსტანს დავბარავ-მეთქი, მაგრამ ეს ხუმრობა იყო". განაცხადა მან.

შეხვედრა ვენაში

ავსტრიის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის ოპეკის კონფერენციის მორიგმა სესიამ მინისტრების დონეზე, რომელიც განიხილავს მდგომარეობას ნავთობის მსოფლიო ბაზარზე, განსაზღვრავს ნავთობის მოპოვების კვოტებს სპარსეთის ყურის ზონაში ომის შედეგების გათვალისწინებით, აგრეთვე ნავთობის ფასებს.

ოპეკის ინფორმირებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ ამ ორგანიზაციის მთელ რიგ წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ მიმდინარე წლის მესამე კვარტალით დაწყებული გაზარდონ ნავთობის მოპოვების კვოტა 22,3 მილიონი ბარელიდან დღე-ღამეში 24 მილიონამდე. კერძოდ, ამით დაინტერესებულია ერაყი. ერაყის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, მისმა ქვეყანამ აღადგინა ნავთობის საწარმოთა 80 პროცენტი სპარსეთის ყურეში ომის დამთავრების შემდეგ.

ავსტრიის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, რომ კონფერენცია განიხილავს მეორე ნახევარწლეულისთვის ბარელი ნავთობის საწესდებო ფასს, 21 დოლარის ოდენობით.

მკვლელობის ახალი ვერსია

ინდოელი გამომძიებლები გამოთქვამენ აზრს, რომ რაჯივ განდიზე თავდასხმაში მონაწილეობდნენ ეგრეთ წოდებული „სახალხო ომის ჯგუფის" — კომპარტიის (მარქსისტულ-ლენინურის) ყველაზე აქტიური ფრაქციით ცრუმემარცხენე ექსტრემისტები. უკანასკნელ ხანს მათ რამდენიმე ტერორისტული აქცია განახორციელეს.

ტამილნადის მეზობელ ანდჰრა-პრადეშის შტატის მიყრუებულ რაიონებში მოქმედებდნენ ჯგუფები, რომლებშიც დაახლოებით ორი ათასი კაცია გაერთიანებული. არსებული მონაცემებით, ექსტრემისტებს კონტაქტები აქვთ შრი-ლანკის „ტამილ ილამის" „განთავისუფლების ვეფხვების" ორგანიზაციის ტერორისტებთან, რომლებზეც მიაქვთ ძირითადი ეჭვი მკვლელობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ სწორედ ანდჰრა-პრადეშისაკენ ინდოეთის ტერიტორიის სიღრმისაკენ მიემართებოდა 21 მაისს გვიან საღამოს ავტომობილი — ცისფერი „ამბასადორი", რომლითაც, როგორც ვარაუდობენ, მიიმალნენ აფეთქების მომწყობი ტერორისტი ქალის მხარდამჭერი ჯგუფის მონაწილეები. უფრო მეტიც, ტრადიციულ ინდურ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი, რომელსაც ამჟამად ეძებენ ფოტოსურათით, შეეცადა ენახა ექიმი, დახმარებას რომ აღმოუჩენდა მის დაჭრილ თანამგზავრს. იმ დროისთვის ინდოეთის პოლიციამ გადაკეტა სანაპირო, რათა დამნაშავეებისათვის არ მიეცა მიმალვის საშუალება.

ამერიკის რადიოს ცნობა

კაცი, რომელიც თავის თავს უწოდებს ერაყის ბირთვულ პრობლემათა მთავარ სპეციალისტს, ჩაბარდა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებს ერაყის ჩრდილოეთში. ეს გადმოსცა ამერიკის რადიოსადგურმა „ნეშნლ პაბლიკ რეიდიომ". რამდენადაც მისთვისაა ცნობილი, მტრის მხარეზე გადასული ამტკიცებს, რომ ერაყის ბირთვული ტექნიკა და ტექნოლოგია ნაწილობრივ გადარჩა სპარსეთის ყურის რაიონში მომხდარი ომის შემდეგ. ამერიკელი ოფიციალური პირები განაგრძობენ მის დაკითხვას.

ამ ცნობის განმარტებისას, ამერიკის შეერთებული შტატების მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ ერაყის კონფლიქტის დაწყებამდე, არსებული ცნობებით, იგი მუშაობდა ბირთვული იარაღის შექმნაზე.

ალბანეთის მთავრობა გადადგა

ტირანაში მიმდინარე ალბანეთის სახალხო კრების სესიაზე ორშაბათს გვიან საღამოს გადადგა ამ ქვეყნის მთავრობა, რასაც მხარი დაუჭირა პარლამენტმა, იუწყება დღეს ტანიუგის სააგენტო.

ქვეყნის მთავრობის გადადგომა პრემიერ-მინისტრ ფატოს ნანოს მეთაურობით მოითხოვეს საყოველთაო გაფიცვის დროს, რომელიც 16 მაისიდან მიმდინარეობს. გაფიცვის დაახლოებით 350 ათასი მონაწილე მოითხოვს ხელფასის მნიშვნელოვან მომატებას, სოციალური პრობლემების დაუყოვნებლივ გადაჭრას, მიმდინარე წლის აპრილში ქალაქ შკოდერში დემონსტრაციის გარეკვის ბრალეულთა დასჯას. როგორც დღეს ალბანეთის დამოუკიდებელ პროფკავშირთა კავშირი იუწყება, გაფიცვა გაგრძელდება, სანამ არ დააკმაყოფილებენ წამოყენებულ მოთხოვნებს.

დღეს ნაშუადღევს სახალხო კრების სესიაზე უნდა აირჩიონ ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი. მოელიან, რომ უახლოეს დღეებში ჩამოყალიბდება დროებითი მთავრობა, რომელშიც ალბანეთის მთელი ომისშემდგომი ისტორიის მანძილზე პირველად შევლენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. იუწყება ტანიუგის სააგენტო.

საქინფორმი.

მოსკოვი იწვის

მოსკოვი, 4 ივნისი. (საქინფორმის კორ. დევი ბერძენიშვილი). ხანძრები ნამდვილ უბედურებად იქცა სსრ კავშირის დედაქალაქისათვის. მიმდინარე წლის დამდეგიდან დღემდე აქ მოხდა თითქმის 10180 ხანძარი, რომელთა შედეგად ზარალი 1370000 მანეთს შეადგენს. ეს ოდნავ უფრო ნაკლებია სარეკორდო შარშანდელ წელთან შედარებით. მაგრამ მსხვერპლთა რიცხვი იზრდება. ბოლო ხუთი თვის მანძილზე მოსკოვში ხანძრებმა იმსხვერპლა 76 კაცი, ხოლო შარშანდელ იმავე პერიოდში დაიღუპა 63 კაცი.

გასულ კვირას იმ სახლში, სადაც მე ვცხოვრობ მოსკოვში, მოხდა ორი ხანძარი. ერთხელ ცეცხლი წაეკიდა სარდაფს, მეორედ— მეზობლის ბინას. მეხანძრეების მუშაობას რომ დააკვირდები, მიხვდები, რომ ეს ადამიანები მართლაც მამაცობისა და თავდადების სასწაულებს ახდენენ, ვინაიდან ხანძართან ბრძოლა, როცა არავითარი მოწყობილობა არა გაქვს, დამეთანხმებით, ძნელი საქმეა.

საქინფორმი

რამდენიმე სტრიქონით

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი დენ კუეილი უნგრეთიდან პოლონეთში ჩავიდა. იგი შეხვდება ქვეყნის ხელმძღვანელებს. ვარაუდობენ რომ მხარეები ეკოლოგიური სამოქალაქო ავიაციისა და გაზის თაობაზე დადებენ შეთანხმებას. შემდეგ კუეილი პრაღას გაფრინდება.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელიარმა განაცხადა, ერაყმა საექსპორტოდ გაყიდული ნავთობის შემოსავლის 30 პროცენტი ერაყის მიერ დაზარალებული მხარეების სასარგებლოდ უნდა ჩარიცხოსო. შეერთებული შტატების აზრით კი, 30 პროცენტი საკმარისი არ არის და ეს თანხა 40-50 პროცენტით უნდა განისაზღვროს.

ოდნავ დამშვიდდა ვითარება ვილნიუსში მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა ქალაქის აშკარა ოკუპაცია მოახდინეს. მათ დაიკავეს ხიდები, ფოსტა-ტელეგრაფი, ალყა შემოარტყეს პარლამენტს, დააწესეს 15 საკონტროლო გამშვები პუნქტი. იუწყებიან, რომ შექმნილი ვითარების გამო რესპუბლიკის ხელმძღვანელი ვიტაუტას ლანდსბერგისი ვერ მიემგზავრება პოლონეთში, სადაც რომის პაპს იოანე პავლე II-ს უნდა შეხვედროდა.

ოფიციალური მონაცემებით, წელს საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის დეფიციტი პირველ სამ თვეში 200 პროცენტით და მეტად აღემატებოდა 1990 წლის მონაცემებს.

რომის პაპი იოანე პავლე II განაგრძობს ვიზიტს თავის მშობლიურ პოლონეთში. პაპმა ერთიანობისთვის მოუწოდა პოლონელ და უკრაინელ კათოლიკებს. დაახლოებით 10 ათასმა უკრაინელმა გადალახა საზღვარი პაპის სანახავად, რომელმაც აღნიშნა, რომ უკრაინელ კათოლიკებს 45 წელს დევნიდნენ კომუნისტები.

ბაქოში ხელი მოაწერეს ესტონეთისა და აზერბაიჯანის სამთავრობო ხელშეკრულებას, რომელიც გააუმჯობესებს ორი ქვეყნის ურთიერთობას. ხელშეკრულებით ბაქოში და ვილნიუსში გაიხსნება ამ ქვეყნების სავაჭრო წარმომადგენლობები.

როგორც ანატოლიის სააგენტო იუწყება, დიარბაქირის პროვინციაში მომხდარი ინციდენტის შედეგად რამდენიმე თურქი ჯარისკაცი და ქურთი ამბოხებული დაიღუპა. სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში 6 მილიონამდე ქურთი ცხოვრობს და, მათი უმრავლესობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძვის.

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ უნგრეთთან, პოლონეთთან და ჩეხეთ-სლოვაკეთთან დადო ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება. მომავალში აღმოსავლეთ ევროპის ეს სამი ქვეყანა შეუერთდება ამ ორგანიზაციას.

წინასწარი მონაცემებით, 20-მდე კაცი დაიღუპა, 150 ათასი უსახლკაროდ დარჩა, 34 ათასი სახლი დაინგრა ამ ბოლო დღეებში შრი-ლანკაში კოკისპირული წვიმებისა და გრიგალის შედეგად, გაზეთ „აილენდის" მონაცემებით, უკვალოდ გაქრა ხუთი სეინერი 20 მეზღვაურითურთ. ვარაუდობენ, რომ დატბორვა მოელის კუნძულოვანი სახელმწიფოს რამდენიმე სანაპირო რაიონს.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, ისლამური ფუნდამენტალისტების საქმიანობის გააქტიურების შედეგად ალჟირის პრეზიდენტმა შადლი ბენჯედიდმა მთელ ქვეყანაში საგანგებო წესები გამოაცხადა.

ყოველწლიურად საბჭოთა კავშირში ქორწინდება 3 მილიონი წყვილი, განქორწინებათა რაოდენობა კი ზუსტად ნახევარს — 1,5 მილიონს აღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიქია

ძეგლებსაც ადამიანებივით უჭირთ

საქართველოს ჭირთათმენის დრო უდგას. მიწისძვრით გამოწვეულ იარებს იმუშებს. სწორედ ახლაა ყველაზე მეტად საშური სიტყვიერი თუ საქმიანი პრაქტიკული შეწევნა, ხელის გამოღება.

ქვაში ჩაკირულ წინაპართა სულს — ისტორიისა და კულტურის უნიკალური ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის ძეგლებს, ჟამთასვლის მრავალ წრთვნას რომ გადაურჩნენ, ახლა, მართლაც ადამიანებივით უჭირთ. ისინი შველას ითხოვენ სპეციალისტებისგან, მაგრამ მიწისძვრით დანგრეული ძეგლების აღდგენა-აშენება რთული პროცესია, იგი სწორ მეცნიერულ საფუძველს უნდა დაეყრდნოს.

სწორედ ამ მიზნით იყო ახლახან რაჭაში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ერთობლივი ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ არქიტექტორები, ხელოვნებათმცოდნეები და კონსტრუქტორები. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ხელოვნებათმცოდნე-რესტავრატორი, პროფესორი ვახტანგ ცინცაძე. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია ბატონ ვახტანგს და სთხოვა ემბნა ნანახსა და განცდილზე, ექსპედიციის მიზანზე.

აი, რა უამბო მოკლედ მან კორესპონდენტს: ჩვენმა ინსტიტუტმა და ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ მიწისძვრის მეორე დღესვე ოპერატიულად დასახეს საგანგებო ღონისძიებანი, დაკომპლექტდა ექსპედიციები დაზარალებულ რაიონებში გასაგზავნად.

ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა რაჭაში მიწისძვრით დაზიანებული ძეგლების მდგომარეობა, დაგვედგინა დაზიანების ხასიათი და დაგვესახა მათი გადარჩენის გზები.

მოგეხსენებათ, არსებობის მანძილზე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში მეცნიერებმა შეიმუშავეს ძეგლთა დაცვის თანამედროვე მეთოდოლოგია, რომელსაც პრაქტიკულად იყენებენ აქამდე გაწეულ სამუშაოებში. ცხადია, ამ მეთოდოლოგიის გათვალისწინება და გამოყენება ახლა განსაკუთრებით გვჭირდება.

გზად კაცის ხუროთმოძღვრული ძეგლი დავათვალიერეთ. როგორც ცნობილია, X-XI საუკუნეების ეს ტაძარი ექვსაბსიდიანი გუმბათოვანი ნაგებობაა. სწორედ აგების ამ სტრუქტურას გადაურჩენია ეს ძეგლი კატასტროფული ნგრევისაგან. იგი უმნიშვნელოდ არის დაზიანებული. ნიკორწმინდის მსგავსად, მასაც გუმბათის ყელის შეკეთება და აბსიდების გადახურვის გამაგრებითი სამუშაოები ესაჭიროება. ძლიერი მიწისძვრისათვის რეგიონში ამ ორს ყველაზე მეტად გაუძლია. ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ პირველივე მიწისძვრის შემდეგ ნიკორწმინდას შემოავლო სარტყელი და ხარაჩოები აღმართა, რამაც იგი შემდგომი ბიძგებისგან დაიცვა. სამშენებლო ჯგუფები ნიკორწმინდაში უკვე შეუდგნენ მუშაობას. ახლა იქ დროებითი გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს.

ამბროლაურიდან ხუთიოდე კილომეტრზეა ზემო კრიხის ეკლესია. მოგეხსენებათ, XI საუკუნის ეს ძეგლი ხუროთმოძღვრულად ძალიან რთულია. იგი დარბაზული ტიპისაა, გართულებული მინაშენით, დარბაზის გადამხურავი დიდმადლიანი კამარით, რომელიც, ადრეც დაზიანებული (გამსკდარი) იყო. XIX საუკუნეში ეკლესია დაუგრძელებიათ და ამით კიდევ უფრო დაუსუსტებიათ გადახურვა. ზემო კრიხის კედლის მხატვრობა ერთ-ერთი უძველესია, XI საუკუნით თარიღდება და იშვიათი ოსტატობით არის შესრულებული. ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში კრიხში შესრულდა სარესტავრაციო სამუშაოები. მოიშალა გასული საუკუნის მინაშენი და გამაგრების მიზნით სწორედ მაშინ გაუკეთდა ეკლესიას სარტყელი, რადგან თაღი გახსნილი იყო და საშიშროება იგრძნობოდა. მაშინ გამაგრდა კედლის მხატვრობაც.

ახლა ასეთი სურათი ვიხილეთ: ჩაშლილია თაღი, აგრეთვე ჩრდილოეთისა და სამხრეთ კედლის ნაწილები საკურთხევლითურთ. დგას მხოლოდ დასავლეთის კედელი და დაზიანებული კარიბჭე, წყობასთან ერთად ჩაშლილია კედლის უნიკალური მხატვრობაც. სამწუხაროდ, მისი მხოლოდ ნაწილიღაა დარჩენილი. გადაწყდა, რომ უწინარესად ტერიტორია მთლიანად უნდა გადაიხუროს, რათა წვიმისგან დავიცვათ მხატვრობის გადარჩენილი ფრაგმენტები; შემდეგ ოთხივე მხარეს აივნის ფარდულები და ეს ფრაგმენტები თავისი მიმართულების მიხედვით გადავიტანოთ ამ ფარდულებში. ერთი სიტყვით, დიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს, თანაც ძალიან ფაქიზი ხელით. საამისოდ, ალბათ, მოსახლეობისა და სტუდენტების დახმარება დაგვჭირდება. ამჟამად აქ გადახურვა მიმდინარეობს.

სოფელ სხვავსა და კრიხს შორის მდებარეობდა დიდი ციხე-დარბაზი ქვარაციხე. სამწუხაროდ, მდებარეობდა... ბუნების ცოდვაბრალს აქ ზღვარი არ უძევს. 12 მეტრი სიმაღლის უზარმაზარი კედლები ორასიოდე მეტრის სიმაღლის კლდეზე დღეს არამცთუ მოსწორებულია, არამედ გადარეცხილიც. ფაქტობრივად, ქვარაციხე დავკარგეთ.

შედარებით ნაკლებად დაზიანებული დაგვიხვდა ბარაკონი, ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლი. იგი მყარი კონსტრუქციის ნაგებობაა და ნიკორწმინდის მსგავსად, მასაც გუმბათის ყელი დაზიანებია. ძირითადად საპირე ქვებია ჩამოცვენილი, რაც შედარებით იოლი აღსადგენია.

გულსაკლავი სანახავია შუასაუკუნოვანი წესის ციხე, რომელსაც „მინდას" ციხესაც ეძახდნენ. იგი ისეა დაშლილი, რომ მისი აღდგენა დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

მთლიანად დაქცეულია მრავალძალი, XI საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესია. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იგი გუმბათოვან ნაგებობად გადაუკეთებიათ, დარბაზის დასავლეთი ნაწილი მოუშლიათ და შემდეგ ამოუყვანიათ ჯვრისმკლავიანი სივრცე, რომელზეც გუმბათი გაუმართავთ. შარშან მრავალძალის გუმბათი ხელახლა გადაიხურა. ამჟამად ყოველივე დანგრეულია, გადარჩენილია მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის აღმოსავლეთის ფასადი, რომლის შესანიშნავი ორნამენტული ნაწილიც ჩამონგრეულია. მრავალძალთან მახლობლად მდებარე ფარახეთის ეკლესიას, გვიანსაუკუნოვანი კედლის მხატვრობით რომ არის ცნობილი, დღეს შემორჩენია მხატვრობის ფრაგმენტები და მის გადასარჩენად რესტავრატორებს დაძაბული მუშაობა დასჭირდებათ.

ექსპედიციის წევრებმა მცირე ძეგლებიც მოვინახულეთ. ამბროლაურის სიახლოვეს, სოფელ ხიმშში, XI საუკუნის დამდეგის დარბაზული ტიპის ეკლესიაა, ძალზე ლამაზი დეკორით შემკული. მიწისძვრის ბიძგებს გასული საუკუნის დამატებები მოუშლია, საბედნიეროდ, ძველი შედარებით შერჩენილა. ვფიქრობთ, მისი აღდგენა თავდაპირველი სახით შესაძლებელია. მიწისძვრაც რომ არა, მისი აღდგენა წლეულს ისედაც იყო განზრახული.

სოფელ კორტის წმინდა კვირიკეს ეკლესია დანგრეული დაგვიხვდა და, ალბათ, იგი მთლიანად უნდა დაიშალოს და ისე აღდგეს, თუკი მის აღდგენას განვიზრახავთ.

ტექნიკურად კარგად არის შენარჩუნებული ონის სინაგოგა. აქ საგანგაშო არაფერია.

მინდა შევეხო საცხოვრებელი სახლების დაზიანების ხასიათს. ზოგადად ის აზრი უნდა გამოვიტანოთ, რომ დაინგრა ძირითადად უხარისხო ნაგებობანი. აი, თუნდაც, რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ამბროლაურში ხუთსართულიანი სახლი კარგად დგას, მის გვერდით მდებარე ორსართულიანი სახლი კი დანგრეულა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასალებისა და მშენებლობის ხარისხი და სისწორე განსაზღვრავს სწორედ ნაგებობის სიმტკიცეს, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ეს დათვალიერება მხოლოდ ნაწილობრივი და პირველი შთაბეჭდილებაა სპეციალისტებისა. ძეგლთა დაცვის სამმართველო და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი მუშაობას განაგრძობენ. შემუშავებულია მიზანდასახული მუშაობის ერთიანი გეგმა. ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ საზოგადოებრიობა ასე აქტიურობს, ფეხზე დგას, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მარტო ენთუზიაზმით შორს ვერ წავალთ. აჩქარებამ შეიძლება ცუდი შედეგები მოგვცეს, აქ სპეციალისტების ჩარევაა მთავარი. ქართველი არქიტექტორ-რესტავრატორები, მეცნიერები მზად არიან ამ დიდი საქმისათვის.

ესაუბრა
რუსუდან მუხიგულაშვილი.

• • •







სურათებზე: ასეთი იყო ქვარაციხე, რომელიც დღეს აღარ არსებობს; ზემო კრიხის ეკლესია მიწისძვრამდე და მიწისძვრის შემდეგ.

ხიდი

რის ცოდნა სჭირდება დრამატურგს

ერთი ცნობილი მწერლის თქმით, „პიესას ქალივით ორი სახელი აქვს: მამის (მწერლობა) და ქმრისა (თეატრი)". ცხადია, ცხოვრებისაგან განსხვავებით, ის მამა (ე. ი. მწერალი) უფრო ბედნიერია, ვის ქალიშვილსაც (ე. ი. პიესას) მეტი საქმრო აღმოუჩნდება. ასეთ ბედნიერ მამად უნდა ჩაითვალოს დრამატურგი გიორგი გამსახურდია, რომლის პიესა „მუნჯი სიზმრები" აგერ უკვე მესამე თეატრში დაიდგა. გიორგი ახლახანს დაბრუნდა ამერიკიდან, სადაც მეიერ ჯაკობსის თეატრში იყო მიწვეული „მუნჯის სიზმრების" პრემიერაზე.

გიორგი გამსახურდია ჩვენი კოლეგაა — ჟურნალისტი, გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში" მოღვაწეობს, მაგრამ ქართველი საზოგადოებრიობა მას იცნობს როგორც დრამატურგსაც. მისი პირველი პიესა „გვირილები" სამი წლის წინათ დადგა რეჟისორმა თამაზ მესხმა რუსთაველის დრამატულ თეატრში, ამ ერთი შეხედვით კამერულ დრამაში, რომელიც თითქმის არ ცდება ერთი ოჯახის ფარგლებს, წამოჭრილია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საკითხები. სწორედ ამით დაიმსახურა დრამატურგის დებიუტმა თეატრის და მაყურებლის ყურადღება.

დრამატურგის მეორე პიესას „მუნჯის სიზმრები, ანუ ქარი მუჭში" ჰქვია. იგი 1988 წელს დაიწერა და როგორც ზემოთ ვთქვით, იღბლიანი აღმოჩნდა, — შარშან სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრში დაიდგა (რეჟისორი ბექა ქავთარაძე), წელს კი მარჯანიშვილის თეატრში (რეჟისორი იგორ ფილიევი).

ალბათ, დაგაინტერესებთ, როგორ მოხვდა იგივე პიესა ამერიკულ თეატრში. ორი წლის წინათ მოსკოვში ჩატარდა კონკურსი, რომელიც დრამატურგიაში ახალი სახელების აღმოჩენას ისახავდა მიზნად, კონკურსში 200-ზე მეტი დრამატურგი მონაწილეობდა. „მუნჯის სიზმრები" საუკეთესოდ აღიარეს და სპეციალური დიპლომი მიანიჭეს. დრამატურგიაში ამ ახალი სახელით დაინტერესდა ამერიკა-მოსკოვის თეატრალური ინიციატივა „ასტიკო". მათ კონკურსში გამარჯვებული პიესა გადაუგზავნეს ბრედლის უნივერსიტეტის ხელოვნების განყოფილების ხელმძღვანელობას. ისინი გაეცნენ დრამას, მოეწონათ და დრამატურგი და მამამისი — თეატრალური რეჟისორი ავქსენტი გამსახურდია პიესის დასადგმელად მიიწვიეს მეიერ ჯაკობსის თეატრში.

გიორგი გვიამბობს: „ჩვენი სპონსორები ამერიკის მხრივ იყო ფირმა „კეტერ-პილერი", აქედან კი საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი. ორმოცი დღე დავყავით ამერიკაში, სპექტაკლი 18 რეპეტიციით მომზადდა, იქ სულ სხვა პირობები და ტემპებია სპექტაკლის შესაქმნელად. ჩასვლისას ყველაფერი მზად დაგვხვდა. იქ არ არსებობს რაიმეზე ტექნიკური შეფერხება, რეჟისორი რასაც მოითხოვს, მყისვე სრულდება. ჩემს პიესაში ძირითადად ბრედლის უნივერსიტეტის თეატრალური ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ დასაქმებული, მათ უკვე ნათამაშევი ჰქონდათ ათზე მეტ სპექტაკლში (ჩვენში კი, 2-3 პიესა თუ იდგმება ოთხი სასწავლო წლის მანძილზე — გ. ლ.). თუკი სპექტაკლი კარგად მიიღო ამერიკელმა მაყურებელმა, ამას დიდად ვუმადლი დამდგმელ რეჟისორს, რომელიც მაქსიმალურად ერთგულებდა პიესის იდეას.

გაგაცნობთ ფრაგმენტებს ადგილობრივი პრესიდან: გაზეთი „ჟორნალ სტარ": „ეს დადგმა არ განეკუთვნება იმ სპექტაკლთა რიცხვს, რომლებზეც მაყურებელი გასართობად დადის. პირიქით, ეს არის სტრუქტურულად რთული დადგმა—მდიდარი ალეგორიებით, შემოთავაზებული აზრებით და ისე ძნელად აღსაქმელი, რომ არ კმარა მისი ერთხელ ნახვა; ვისაც სურს ამ არაორდინარული, აბსურდულთან ახლოს მდგომი დრამის კარგად გაგება, აუცილებელია რამდენჯერმე დაესწროს სპექტაკლს. ეს არის გონების დამძაბველი, ფიქრისა და განსჯის აღმძვრელი სანახაობა, რომელიც დაძაბულობით და სულიერებით არის სავსე, შესანიშნავადაა გამოკვეთილი გმირები. დრამის სიტუაციები რეალობისა და ფანტაზიის ნაზავია, არ შემიძლია ბოლომდე ავხსნა ეს სპექტაკლი, მაგრამ ჩემი აზრით, დადგმა მომაჯადოებელი და საოცრად უჩვეულო მოვლენაა".

ჩვენ გვინდოდა ამ წერილისათვის ფოტომასალაც დაგვერთო, ვთქვათ, სცენა სპექტაკლიდან, მაგრამ დრამატურგს ფოტო არ აღმოაჩნდა, იქ სპექტაკლზე ფოტოს გადაღება აკრძალულია, იქაურ გაზეთში მხოლოდ რეპეტიციის ფოტო იყო დაბეჭდილი.

გიორგისგან შევიტყვეთ ისიც, რომ გაისად იანვარ-მარტში თბილისს ჩამოვა ამერიკელი რეჟისორი, პროფესორი ჯეფრი ჰიუბერმანი და თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო თეატრში ამერიკულ დრამატურგიაზე იმუშავებს ქართველ სტუდენტ-მსახიობებთან — ამას გულისხმობს გაცვლის პროექტის მეორე ეტაპი.

მე გავეცანი გიორგი გამსახურდიას მესამე პიესას, რომელიც ჯერჯერობით ჩვენთან არ დადგმულა. (დაიდგა წელს მოსკოვის თეატრ „დრამატურგში"). მისი სათაურია — „მიესაჯოს თავისუფლება". მე ვიცნობ ავტორს და მის დრამატურგიას და შემიძლია ვთქვა, რომ მისი სახით ჩვენს თეატრალურ სამყაროში შემოვიდა ორიგინალური აზროვნების, ინდივიდუალური ხელწერის ავტორი. ცხადია, გიორგი გამსახურდია ისეთი ხელოვანია, რომელიც კარგად იცნობს ცხოვრებას და მასში შემოქმედებითი პოტენციაც იგრძნობა. ვფიქრობ მის დრამატურგიაზე და თამაზ ჭილაძის შესანიშნავი წერილი „თეატრი ჩვენი სიყვარული" მახსენდება. ბატონი თამაზი წერს: „დრამატურგს სცენის ცოდნა კი არ სჭირდება, არამედ ცხოვრების ცოდნა", — დღეს ბევრი მოაწერდა შონ ოკეისის ამ აფორიზმს ხელს, მაგრამ მარტო ცხოვრების ცოდნა, თავისთავად რაც უნდა მნიშვნელოვანი იყოს ის, საკმარისი არ არის, დრამატურგი გახდე. აუცილებლად უნდა იყო შემოქმედი. ცხოვრებას მაშინ ისწავლი, როცა ცხოვრობ. ამავე დროს, თუ არ ცხოვრობ, მწერალი, ხელოვანი არა ხარ. ტალანტი ერთდროულ ცხოვრების ცოდნასა და შემოქმედებით პოტენციას გულისხმობს.

ყოველი შემოქმედისათვის აუცილებელია პოეტური საწყისი, სტიმული, იდეა".

ჩვენი აზრით, სწორედ მკვეთრად გამოკვეთილი პოეტური საწყისი გამოარჩევს გიორგი გამსახურდიის დრამატურგიულ ნაწერებს, ალბათ, ამაშია მისი მიზიდულობის საიდუმლოც.

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათზე: დრამატურგი გიორგი გამსახურდია.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

მიმართვა

სრულიად საქართველოს

ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა მკურნალობის ხელშემწყობი საზოგადოება მოგიწოდებთ!

მეგობრებო! უპირველესად, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი მხარდაჭერისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ჩვენი საზოგადოებისა და ავადმყოფი ბავშვებისადმი. თქვენი მრავალრიცხოვანი წერილებისა თუ პირადი გამოხმაურებების გამო ჩვენ ალბათ გვაქვს მორალური უფლება თქვენი ნება განვახორციელოთ, ხოლო ის ადამიანები, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეეწივნენ ამ საქმეს, კეთილი სიტყვით თუ რეალური დახმარებით მხარში ამოგვიდგნენ, გვინდა საზოგადოების წევრებად ჩავთვალოთ.

მაშ ასე, დადგა „ჟამი ქვათა შეკრებისა". დაფუძნების მომქანცველი მარათონი უკან დარჩა. „ივერთბანკში" გახსნილია საზოგადოების ანგარიში. ანგარიშის № 000161700 (700200), „ივერთბანკი", კოდი 521921, საქართველოს ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა მკურნალობის ხელშემწყობი საზოგადოება „იმედი". ახლა საჭიროა მისი შევსება, შევსება არა ბუტაფორიული, სიმბოლური თანხით, არამედ რეალურით, რომელსაც აუცილებლად შეადგენს ყოველი თქვენგანის მიერ ნებაყოფლობით გაღებული 1 მანეთი. დღევანდელი უმძიმესი ინფლაციის პირობებში ეს თანხა საკმარისი იქნება მხოლოდ იმისათვის, რომ წელიწადში 10-15 ბავშვი საზღვარგარეთ სამკურნალოდ გავგზავნოთ და მათი სიცოცხლე გადავარჩინოთ, აგრეთვე შევიძინოთ ორი კომპლექტი უცხოური სამედიცინო აპარატურა. ვინ იცის, იქნებ მეტიც... ეს თქვენზეა დამოკიდებული.

მთავარია, დროულად და ორგანიზებულად მოხდეს შემოწირულობათა გადმორიცხვა. მივმართავთ ყველას, საწარმო-დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოოპერატივთა და მცირე საწარმოთა ხელმძღვანელებს და ბუღალტრებს.

ბატონებო! თქვენს მხრებზე უნდა გადაიაროს ამ საქმის ორგანიზებამ. თქვენ დროულად უნდა გამოავლინოთ კოლექტივის ყოველი წევრის ნება-სურვილი, თუნდაც საერთო კრების მეშვეობით.

უნდა აღრიცხოთ შემოწირულობანი ყველა თქვენგანისათვის ცნობილი და მარტივი ავტომატური წესით და შეგროვილი თანხა გადმორიცხოთ არსებულ ანგარიშზე. მოდით, ნუ დაიზარებთ ამას, ნუ იქცევა ეს „შეუმჩნეველ ლხინად" და „თავის ატკივებად". თავი ხომ ყველამ უნდა ავიტკიოთ, რამეთუ ამქვეყნად არაფერია უფრო ძვირფასი და ძვირადღირებულიც, ვიდრე უმწეო ბავშვის სიცოცხლე, და კიდევ, ჩვენი სინდისი. გაჭირვებაში ხომ ყველაზე მეტად გამოვლინდება ერის სასიცოცხლო ენერგია.

საზოგადოების გამგეობის სახელით:

ირმა სოხაძე,
კახა დავითური,
მამუკა პილლაძე.

8.06.91 წ.

P. S. საზოგადოების კოორდინატებს დამატებით გაცნობებთ.

სხვადასხვა

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად

საინტერესო გამოცემა

ამ დღეებში საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნამ" გამოსცა საყურადღებო და საინტერესო წიგნი „ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად".

— ეს გახლავთ ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ჰელსინკის, ვენის, პარიზისა და კოპენჰაგენის თათბირების დასკვნითი აქტები და მასალები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარემ ნუგზარ წერეთელმა. — ასეთი წიგნი ჩვენში პირველად გამოდის და მისი მნიშვნელობა დღევანდელ ვითარებაში ძალიან დიდია.

წინასიტყვაობა ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარეს და საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „საქართველოში ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფი შეიქმნა 1976 წელს. 1977 წლიდან მას თავს დაატყდა დევნა და რეპრესიები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი წევრები მაინც განაგრძობდნენ ადამიანის უფლებათა დაცვას და მსოფლიოს ინფორმირებას საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ. მას არასოდეს გამოუცხადებია თვითლიკვიდაცია ან თვითდაშლა. დღეს ჯგუფი მოქმედებს როგორც ჰელსინკის კავშირი. იგი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ასოციაციის წევრია, ასოციაციისა, რომლის ცენტრიც არის მაინის ფრანკფურტში".

წიგნი, რომლის ტირაჟია 50 000 ეგზემპლარი, გამოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს ინიციატივით. წიგნის რედაქტორია ბატონი თეიმურაზ ქორიძე.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორესპონდენტი.

ქრიმინალური ქრონიკა

მგელი მგლობას არ იშლის

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია ამ დღეებში შეხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს. პრეზიდენტმა სერიოზული შეშფოთება გამოთქვა კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავების გამო და მილიციის თანამშრომლებს მოუწოდა უფრო აქტიურად იბრძოლონ დანაშაულობის წინააღმდეგ.

გასულ კვირაში რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 178 სისხლის სამართლის დანაშაული: მათ შორის 9 მკვლელობა, 11 ყაჩაღობა, 15 სახელმწიფო ქონების და 56 პირადი ქონების ქურდობა. მოხდა 62 ავტოავარია, რომელთაგან 22-ს მსხვერპლი მოჰყვა. სამწუხაროდ, არ მცირდება მკვლელობათა რიცხვი. მარტო მაისში 30 მკვლელობა მოხდა.

29 მაისს თერჯოლის რაიონის სოფელ ნაგარევში საკუთარ სახლში დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლა პენსიონერი საშა გიორგაძე.

31 მაისს ფოთში ტყეპარკის ტერიტორიაზე ნახეს საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მეკუზნავის ნუგზარ ადამიას ხელებშეკრული გვამი.

31 მაისს რუსთავში № 61 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ბესიკ ზირაქიშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დანით დაჭრა თავისი მეზობელი, 1971 წელს დაბადებული კობა ჭანიაშვილი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

2 ივნისს ქუთაისში ტოლბუხინის ქუჩაზე ნახეს ლენტეხის რაიონის სოფელ სასაში მცხოვრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტის ალეკო ონიანის გვამი, რომელსაც ზურგში წვეტიანი საგნით მიყენებული ჰქონდა ჭრილობა.

3 ივნისს ქუთაისში № 3 საზინაო სამმართველოს მუშამ, 1972 წელს დაბადებულმა შოთა ვაჭარაძემ მუცლის არეში დანის დარტყმით მოკლა მამა — ჯემალ ვაჭარაძე.

ისევ ხშირია ყაჩაღობა. ყაჩაღთა ჯგუფების მოქმედება გამოირჩევა სისასტიკითა და სადიზმით. ისინი ხშირად შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ მილიციის მუშაკებს.

28 მაისს ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ქუთაისის განყოფილების მუშაკებმა წყალტუბოს ზონის სოფელ უკანეთში დააკავეს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ამირან იძგვერაძე და ქუთაისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მუშა ბესიკ შარაბიძე, რომლებიც ცდილობდნენ მოქალაქე ალიომა გვენცელაძის გატაცებას ფულის გამოძალვის მიზნით. დაკავების დროს იძგვერაძემ და შარაბიძემ მილიციის მუშაკებს გაუწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა. საპასუხო სროლის შედეგად იძგვერაძე დაიჭრა.

თავდამსხმელებს აღმოაჩნდათ ნაგანის სისტემის რევოლვერი 23 ვაზნით, გაზის პისტოლეტი 3 ვაზნით, ერთი ხელყუმბარა, 4,7 კილოგრამი ამონალი და ლითონის საძებნი ხელსაწყო.

29 მაისს ღამის პირველ საათზე ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში სამი შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა სატვირთო ავტომანქანას, რომელსაც მართავდა გორის რაიონის სოფელ ვარიანის მცხოვრები ვასილ ბერკაციშვილი და წაართვეს 500 მანეთი. მილიციამ დააკავა სოფელ მეორე სვირის მცხოვრებნი ტარიელ ოსაძე, ბესიკ ლომინაშვილი და თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერის მცხოვრები ჯონი უკლება. სხვათა შორის, საავტომობილო გზის ამ მონაკვეთზე გასულ თვეში გაძარცვეს ლიტვისა და მოლდოვის რესპუბლიკებიდან მომავალი სატვირთო ავტომანქანების მძღოლები და მგზავრები.

30 მაისს თბილისში ასათიანის ქუჩა № 24-ში მდებარე კომერციულ-საკომისიო მაღაზიიდან ხუთმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გაიტაცა ვიდეომაგნიტოფონი, მაგნიტოფონი და 652 მანეთი.

კრწანისის რაიონის მილიციის მუშაკებმა დაადგინეს ერთ-ერთი ბოროტმოქმედი — ადრე ნასამართლევი გია არჩვაძე.

1 ივნისს ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში მცხოვრებ გიორგი მარგალიტაძის ოჯახს ფულის გამოძალვის მიზნით თავს დაესხა სამი ბოროტმოქმედი. ყაჩაღებმა წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ ფეხში დაჭრეს ოჯახის უფროსი და მიიმალნენ.

გასულ კვირაში მილიცია განაგრძობდა უნებართვო იარაღის, ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების ჩამორთმევას.

31 მაისს თბილისი-მოსკოვის მატარებელზე დააკავეს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის მოსამსახურე პავლე ამოლინი, რომელსაც აღმოაჩნდა თვითნაკეთი დანა და საბრძოლო ხელყუმბარა.

31 მაისს მილიციამ დააკავა ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტი ნოდარ ინწკირველი, რომელსაც ჩამოერთვა 16-კალიბრიანი გადაჭრილი სანადირო თოფი.

1 ივნისს ქ. რუსთავში დააკავეს ე. წ. „კანონიერი ქურდი" — სარატოვის ოლქის ბალაშოვის რაიონის სოფელ კოლმანკაში მცხოვრები თამაზ გოგოლაძე, რომელსაც პირადი ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ორი საბრძოლო და თვითნაკეთი ხელყუმბარა. მასთან ერთად დაკავებულ რუსთაველ თეიმურაზ ტალახაძეს კი უპოვეს თვითნაკეთი ხელყუმბარა.

2 ივნისს ბაღდათის „აგრომრეწვტრანსის" მძღოლს ავთანდილ თაბუკაშვილს მილიციამ ჩამოართვა პისტოლეტად გადაკეთებული მცირეკალიბრიანი შაშხანა 20 საბრძოლო ვაზნით.

საზოგადოებრიობამ იცის, ჩვენს სამშობლოს როგორ დიდ საშიშროებას უქმნიან ნარკოტიკების შემომტანები და გამსაღებლები. დედოფლისწყაროს რაიონის მილიციის თანამშრომლებმა — სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულმა თემურ ნათელაშვილმა, უბნის ინსპექტორმა აკაკი ლომსაძემ და სხვებმა 3 ივნისს სოფელ სამთაწყაროსთან, აზერბაიჯანის საზღვრიდან ორი კილომეტრის დაშორებით დააკავეს მსუბუქი ავტომანქანა ვაზ-2106, სახელმწიფო № ფ 86-03 გზ, რომლითაც თბილისელ დროებით უმუშევარს ლევან კუპრაშვილსა და დედოფლისწყაროელ — ადრე ნარკოტიკულ ნივთიერებათა შენახვა-გასაღებისათვის ნასამართლევ არტურ კეტეცანს რესპუბლიკის გარედან შემოჰქონდათ ნარკოტიკული ნივთიერება — „კოკნარი".

ჩვენ ხშირად ვიტყობინებით პირადი ქონების ქურდობას. აღვნიშნავთ, რომ განსაკუთრებით ხშირია ბინების გაქურდვა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად იმატა მოსახლეობის კუთვნილი პირუტყვის ქურდობამაც, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ რაიონების მილიციის მუშაკებმა.

30 მაისს ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში მცხოვრებმა გიორგი ასაბაშვილმა თანასოფლელ სიმონ ტურაშვილს ეზოდან მოპარა 12 ცხვარი. გ. ასაბაშვილი დაკავებულია.

გარდაბნის რაიონის ვარკეთილის დასახლებაში დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა მოქალაქე ნიკოლოზ ჩოხელს მოპარა 44 ცხვარი.

30 მაისს გუდაუთის რაიონის სოფელ ზვანდრიფშის მცხოვრებლებმა დონსიკ ანქვაბმა და ტოტარკან ბებიამ თავიანთ თანასოფლელს ვაჟა ფირცხალავას მოჰპარეს ორი ძროხა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი,
საქინფორმი.

საკუთარ სახლში

მეტად კმაყოფილი დარჩებით

ქართველი კაცის ბუნება და მხატვრობა ახლოს დგას ერთმანეთთან. საუკუნეთა გადასახედიდან მოჩანს ქართული მხატვრული სული. ეს სული იცქირება გელათისა თუ ბეთანიის ფრესკებიდან, ფიროსმანაშვილის ირმის თვალებიდან...

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ქართველი კაცი ოდითგანვე დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო როგორც საკუთარი, ისე უცხოური ხელოვნებისა, მხატვრობისა. ჩვენს ეპოქაში უფრო მეტი შესაძლებლობაა იმისა, რომ ქართველი ხალხი გაეცნოს ამა თუ იმ ქვეყნის მხატვართა ნამუშევრებს, თავისებურად განჭვრიტოს და შეაფასოს ისინი.

თბილისის მხატვრის სახლი ამჟამად სამი უცხოელი მხატვრის გამოფენას მასპინძლობს. მის პირველ სართულზე გამოფენილია შესანიშნავი რუსი მხატვრის — ლეონიდ სემეიკოს ნამუშევრები, ხოლო მეორე სართულზე ამერიკელი მხატვრები — ელიზაბეთ სიდამონ-ერისთავი და ჯონ დელაპა — წარმოადგენენ თავიანთ შემოქმედებას.

ლეონიდ სემეიკოს შემოქმედება გრაფიკაშია გამოხატული. ამასთან მხატვარმა თავის ნამუშევრებს დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვაც მისცა. მან საქართველოსადმი თავისი დამოკიდებულება და პატივისცემაც წარმოაჩინა. ლეონიდ სემეიკოს ნახატთა გამოფენა 28 მაისს გაიხსნა და 16 ივნისამდე გასტანს.

დიდ შთაბეჭდილებებს იწვევს მნახველებში, აგრეთვე ელიზაბეთ სიდამონ-ერისთავისა და ჯონ დილაპას ნამუშევრები. აქ იგრძნობა ფერთა სიუხვე და, რაც მთავარია, ნახატის თითქმის ფოტოგრაფიაში გადასვლის სინატიფე. ჩვენი ამერიკელი სტუმრების გამოფენა 20 მაისს გაიხსნა და იგი მხოლოდ 7 ივნისამდე გაგრძელდება.

დარწმუნებულნი ვართ, თბილისელი სახვითი ხელოვნების მოყვარულები დიდად კმაყოფილი დარჩებიან ამ გამოფენების ნახვის შემდეგ.

თამარ დვალიშვილი.

განცხადება

საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის გამგეობის განცხადება

შაბათს, 8 ივნისს, დღის 12 საათზე, თბილისში, კინოთეატრ „კოსმოსის" ყოფილ შენობაში გაიმართება საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირის მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

მთავარი კომიტეტის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 46484

საქართველოს რესპუბლიკა